ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები

დეა მამისეიშვილი

საგანგებო სიტუაციების გაშუქების სტანდარტი ქართულ ტელემედიაში

" Emergency Coverage Standard in Georgian TV Media "

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ნათია კუპრაშვილი

თბილისი , 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ,,საგანგებო სიტუაციების გაშუქების სტანდარტი ტელემედიაში“ უფრო იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების ერთგვარი ნაკრებია, რომლის თეორიული შესწავლის საშუალება ქართულ მედიას არ ჰქონდა. შესაბამისად, სტანდარტიც იმ სიტუაციამ ჩამოაყალიბა, რომელშიც ქართველ ჟურნალისტებს მოუხდათ მუშაობა.

როცა ამ თემაზე მუშაობა გადავწყვიტე, იმ თავითვე ვიცოდი, რომ გამზადებული ქვეთავები, ან სულაც, კონკრეტული გამოცემები არ მექნებოდა ,,სრული სურათის“ აღსაქმელად, მაგრამ ვიცოდი, რომ საკუთარი ,,მცირესტაჟიანობიდან“ და ჩემი კოლეგა-მეგობრების ,,უხვწლიანი“ გამოცდილებიდან - მოსასმენი, დასაწერი და შესაჯამებელიც ბევრი მექნებოდა. თან ის, რომ გატკეპნილ გზაზე არ მომიწევდა სიარული და ,,საგანგებო სიტუაციის“ სეგმენტში, ტელემედიის სტანდარტის ,,ყამირ მიწაზე“, სულ მცირე ხნულის გაყვანის შესაძლებლობა მომეცემოდა, ინტერესსაც მმატებდა და მოტივაციას.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე სამაგისტრო ნაშრომში იმ ჟურნალისტების გამოკითხვა-ინტერვიუები ჩამეწერა, რომლებიც დიდი ხანია ქართულ მედიაში კონკრეტული მიმართულებით მუშაობენ და ალბათ, სტანდარტებსა თუ ჩარჩო-კლიშეებზე, ისევე როგორც თვითცენზურასა და კრიტიკაზე სუბიექტური, თუმცა, შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე ობიექტური შეხედულებები, რეკომენდაციები და, თუნდაც აკრძალვები აქვთ. ამიტომ ამ ნაშრომის ავტორი მხოლოდ მე არ ვარ, ჩემთან ერთად ის კოლეგები არიან, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის დროს, ბუნებრივი თუ არაბუნებრივი სიტუაციების დროს, კონკურენტი მედიების ე.წ. ქოლგების ქვეშ ვმუშაობთ და, ჩვენდა უნებურად, ვქმნით სტანდარტს, ვუშვებთ შეცდომებს, ისევე როგორც ვაღწევთ წარმატებებს და კიდევ უფრო დახვეწილი, პროფესიულად გამართული და მთავარ ღირებულებებზე მორგებული მედია გარემოს წევრობაზე გვაქვს პრეტენზია.

ის, რომ უფრო კონკრეტული ყოფილიყო ჩემი და ჩემი კოლეგების სათქმელი, მცდელობა იმისა, ერთად შეგვექმნა სტანდარტი - თუ როგორ უნდა იმუშაოს ჟურნალისტმა საგანგებო სიტუაციების დროს, რა უნდა გააკეთოს და რა არა, რას ავალდებულებს და რას არა გარემო, როდის იწყებს და როდის ასრულებს რეპორტიორი, ვის ან რას უწევს ანგარიშს, რატომ ჯერ პროფესიული მოვალეობა და მერე სამოქალაქო აქტივიზმი და ა.შ. ძალიან ბევრი კითხვა-ამოცანა, რომლებზეც აქ გვექნება საუბარი, განვიხილეთ ორი მოვლენის კვალდაკვალ:

1. საგანგებო სიტუაცია, როცა ბუნებრივ მოვლენასთან გვაქვს შეხება და განვიხილავთ ,,13 ივნისის ტრაგედია“ და ტელემედიის მუშაობის სტანდარტი;

2. საგანგებო სიტუაცია, როცა არაბუნებრივ ქმედებასთან გვაქვს შეხება და განვიხილავთ ,,22 ნოემბრის სპეცოპერაცია“ და ტელემედიის მუშაობის სტანდარტი.

Abstract

Master's thesis " **Emergency Coverage Standard in Georgian TV Media** " is a set of practical skills and experiences in which Georgian media did not have the theoretical knowledge and therefore the situation developed the standard where Georgian journalists had to work.

When I decided to work on this topic, I knew from the fact that I would not have the ready subtitles or I would not have specific editions to understand "full image" but I knew that from my own "little bit of effort or experience" and my colleague friends' "for years" experience I would have a lot to listen, to write and to summarize. The fact that I would not have to go on the cramped road and in the "emergency situation" segment, on TV media standard " virgin land" I would have to pull a little tillage and that gave me more interest and motivation.

That's why I decided to interview the journalists who have been working in the Georgian media in a particular direction and maybe have objective views, recommendations and even prohibitions based on standards or frame-clichés, as well as subjective, but self-censorship and criticism.

So the author of this work is not just me, they are colleagues who at the time of emergency, during the natural or unnatural situations of the so-called competitor media are under so called umbrellas, and we are unwittingly creating the standard, making mistakes, as well as succeeding and claiming to be more sophisticated, professional and to be the member of the media environment with main values.

The fact that me and my colleagues were to be more specific was to create a standard together how to work in emergency situations, what to do or not, what he/she has to do, when the reporter starts and finishes, consider others' opinions, why the professional duty firstly and then civil activism, etc.

There are so many questions that we will talk about here, we have discussed two events:

1. Emergencies when we deal with the natural phenomenon and consider the "Tragedy of June 13" and the work of TV media standard.

2. Emergencies when we deal with unnatural actions and consider the "Special Operation of November 22" and the work of TV media standard.

სარჩევი

შესავალი	--------	**5**
კვლევის მეთოდოლოგია	---------	**8**
თავი 1 - სტანდარტი და სახელმძღვანელო წესები	--------	**9**
თავი 2 - ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქების სტანდარტი	---------	**12**
თავი 3 - 13 ივნისის ტრაგედია და ჟურნალისტების მუშაობა	---------	**17**
3.1 - დაშვებული შეცდომები და რეკომენდაციები	--------	21
თავი 4 - ტერორიზმის გაშუქების სტანდარტი	--------	24
თავი 5 - 22 ნოემბრის სპეცოპერაცია და ჟურნალისტების მუშაობა	--------	28
5.1 - დაშვებული შეცდომები და რეკომენდაციები	--------	33
თავი 6 - ტელემედიის წარმომადგენლების შეფასება	--------	35
დასკვნა	-------	40
გამოყენებული ლიტერატურა	--------	43

შესავალი

მაინც გაჩნდება კითხვა - რატომ მაინც და მაინც ეს მიმართულება და, კონკრეტულად, მხოლოდ ეს ორი ქეისი? (13 ივნისის ტრაგედია და 22 ნოემბრის სპეცოპერაცია - დ.მ.) პირველი და უმთავრესი ის, რომ სამუშაოს წინ უსწრებდა გამოკითხვა კოლეგებს შორის, აქვთ თუ არა ინფორმაცია მიღებულ, ან არსებულ სტანდარტებზე და რას ნიშნავს მათთვის საგანგებო ვითარებაში მუშაობა - მნიშვნელობა არ აქვს, ეს იქნება სიტუაციით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობა თუ თავად საგანგებო მდგომარეობაში შექმნილი სიტუაცია.

კონკრეტული ქეისები კი, თანამედროვე ქართული ტელემედიის (და არა მარტო მისი, ზოგადად, მედიის - დ.მ.) ყველაზე მასშტაბური და გაშუქების თვალსაზრისით ანალიზის საუკეთესო ნიმუშებია. თან იმ პირობებში, როდესაც მონაწილე პირებს, ამ შემთხვევაში ტელეჟურნალისტებს, სხვებზე მეტად და უკეთესადაც შეუძლიათ როგორც საკუთარი თავის, ასევე კოლეგების შეფასებებში ობიექტურები იყვნენ. მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ თვითკრიტიკულობა ყოველთვის უდებს დასაბამს ახალ გადაწყვეტილებას, ახალ ხედვას და შეცდომების მაქსიმალურ გააზრებას, რაც მუშაობის უკვე განსხვავებულ მიმართულებას გაძლევს.

ალბათ, უფრო იმ ფაქტორმა გადამაწყვეტინა ამ თემაზე მუშაობა, რომ რეალობაში ტელემედია ნაკლებად ვიცავთ ე.წ. სტანდარტებსა და წესებს. ვერ მოვიტყუებთ თავს და ვიტყვით, რომ ეს არ გვიქმნის პრობლემებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი ეხება უსაფრთხო გარემოს და სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში, ყოველგვარი დაცვის მექანიზმების უგულვებელყოფით მუშაობას, მაგრამ ერთიცაა - თეორია და პრაქტიკა ყოველთვის არ მოდის თანხვედრაში. კონკრეტულად რატომ, რას ვაკეთებთ, ან არ ვაკეთებთ სწორად, სად ვცდებით ზღვარს, ან სულაც დაწესებული ზღვარია შემაფერხებელი ბერკეტი და იმავდროულად, დასარღვევი წესი რომ, უბრალოდ, გადარჩე როგორც ტელერეპორტიორი და გადაარჩინო ის მასალა, რომელიც მოიპოვე და საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს აჩვენო ნებისმიერ ფასად - ის კითხვებია, რომელზე პასუხებსაც ამ ნაშრომში მე და ჩემი კოლეგები ერთობლივი ძალებით შევეცდებით.

თუმცა, ვიდრე კონკრეტული ქეისების განხილვაზე გადავალთ, უპრიანია, ,,საგანგებოდ შედგენილ“ და ,,გამოცემულ სახელმძღვანელოებში“ ამოვიკითხოდ - რას ნიშნავს თავად საგანგებო სიტუაცია, რომელ სახეებს გამოყოფენ და რა ევალება ამ დროს მომუშავე მედიის წარმომადგენლებს. www.Matsne.gov.ge -ზე დაყრდნობით:

,,საგანგებო სიტუაცია არის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია რომელიმე ობიექტსა ან ქვეყნის განსაზღვრულ ტერიტორიაზე (აკვატორიაში) ბუნებრივი, ტექნოგენური ან

სოციალური უბედურების შედეგად, რასაც მოჰყვა ან შესაძლებელია მოჰყვეს ადამიანთა მსხვერპლი, მატერიალური ზარალი, საფრთხე შეექმნას ხალხის, ფლორისა და ფაუნის სიცოცხლისუნარიანობას.

საგანგებო სიტუაციები იყოფა ოთხ სახეობად:

ბუნებრივი – საშიში ბუნებრივი მოვლენები და პროცესები (გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური, აგრეთვე ბუნებრივი ხანძრები);

ტექნოგენური – სამრეწველო ავარიები და კატასტროფები (რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური და ჰიდროდინამიკური ავარიები), ხანძრები და აფეთქებები, საშიში შემთხვევები ტრანსპორტზე ან სატრანსპორტო ავარიები;

ბიოლოგიური – მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეების ფართოდ და ერთდროულად გავრცელებული ინფექციური დაავადებები (ეპიდემიები);

სამხედრო – დამაზიანებელი საშუალებების ეფექტური (საომარი მოქმედებების, შეიარაღებული კონფლიქტების, დივერსიების ან ტერორისტული აქტების შედეგად გამოწვეული დაზიანება) გამოყენება.

საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაცია მისი მასშტაბის მიხედვით ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით. თუ აღნიშნული ძალები არ არის საკმარისი, სალიკვიდაციო სამუშაოებში ერთვება რაიონული, რეგიონული და ცენტრალური საავარიო-სამაშველო ძალები. აუცილებლობის შემთხვევაში, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ამ სამუშაოებში შეიძლება ჩაერთონ შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

საგანგებო სიტუაციის ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორებია ნგრევა, ადამიანების მსხვერპლი და ქონების განადგურება, საზოგადოებაში ზნეობრივი კრიტერიუმების მოშლა, სხვადასხვაგვარი დაზიანების კერის წარმოქმნა და სხვ. გარდა ამისა, ექსტრემალურ პირობებში მყოფი ადამიანი განიცდის ფსიქოლოგიურ ტრავმასაც რაც საგანგებო სიტუაციების ზონის ფარგლებს მიღმა ვრცელდება. ფაქტობრივად, ადამიანი საგანგებო სიტუაციის მოლოდინშია და უვითარდება სხვადასხვა ხასიათის შიში.“ - ვკითხულობთ www.Matsne.gov.ge

ცხადია, განსაკუთრებული როლი აკისრია მედიას და იმ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელსაც საგანგებო სიტუაციის დროს თითქმის უწყვეტი რეჟიმის ფორმით იღებს მაყურებელი. შექმნილი გარემო, რომელიც ერთი ჩვეულებრივი სიტუაციიდან უკვე საგანგებო სიტუაციაში აღმოჩენილ, ინფორმირების მომლოდინე ადამიანს გარს აკრავს, მინიმუმამდე გამორიცხავს ალბათობას არასანდო, გადაუმოწმებელი და კიდევ უფრო ისტერიული რიტორიკის შემცველი ნაკადის მიმღები იყოს.

ის, რომ ტელემედია ჩვენი რეალობის უმთავრესი ბერკეტია საინფორმაციო სივრცეში, ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი და მასებზე განსაკუთრებული ზემოქმედების იარაღი,

ყოველდღიურობაშიც დასტურდება. სასიცოცხლო დანიშნულება ეკისრება იმ კრიზისულ მომენტებში, როცა საგანგებო სიტუაციის მართვაა აუცილებელი, მოსახლეობისთვის სწრაფი და პირდაპირი წესით ინფორმაციაა გადასაცემი. სხვა საშუალებებისგან განსხვავებით ასეთ დროს ყველაზე ეფექტურად ტელემედია მუშაობს და, ცხადია, მასზე როგორც ინფორმაციის გამტარზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

განსაკუთრებული მისია, თითქმის სასიცოცხლო დანიშნულება, ტელემედიას საგანგებო სიტუაციების დროს ეკისრება, როცა რეპორტიორები ეკრანს მიღმა, ლამის სასოწარკვეთაში მყოფ ადამიანებს უნდა ამშვიდებდნენ იმ ინფორმაციის გადაცემით, რომელიც მათთვის სასარგებლო და აუცილებელია. მაგალითად:

1. დაზუსტებული ფაქტების მიწოდება;
2. მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეების განსაზღვრა;
3. პრევენციული ღონისძიებების კოორდინატები - ევაკუაცია, მედნაწილი და ა.შ.
4. სახელმწიფო უწყებების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციების მოძიება და გავრცელება;

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამთავრობო უწყებებისა და მედიის წარმომადგენლების კოორდინირებულ მუშაობას. ბოლო წლებმა, ლამის მახინჯ ტრადიციად ჩამოაყალიბა ის გარემოება, რომ კრიზისულ, ან საგანგებო ვითარებაში მომუშავე რეპორტიორები და მეორეს მხრივ, სახელმწიფო უწყებები, მნიშვნელობა არ აქვს ძალოვანი სეგმენტია ეს თუ სხვა რომელიმე სამინისტროს მობილური ჯგუფი, აუცილებლად დაპირისპირებულები უნდა იყვნენ და დახურულ სივრცეში ხდებოდეს ინფორმაციების მოპოვება. როგორც წესი, ასეთ დროს, როცა ხელისუფლება არ მიდის სრულფასოვან თანამშრომლობაზე, არ ქმნის ე.წ. ღია დერეფანს დაზუსტებული ინფორმაციის გასაცემად, ტელემედია იძულებულია ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხით მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და გადასცეს ეთერში. მსგავსი დაძაბული სიტუაცია ყოველთვის საგანგებო ვითარების დროს იჩენს თავს და, შესაბამისად, დეზინფორმაციის წილი, როცა ოფიციოზი დუმს - გაცილებით დიდია. არადა, ასეთ დროს გამოჟონილი ინფორმაციებია ხელჩასაჭიდი მედიისთვის, თუმცა, რომ უტოვებდეს გამოსავალს, იგივე ,ოქროს შუალედს“ ხელისუფლება ტელემედიას - მეტი იქნებოდა სიზუსტე და ნაკლები კრიტიკა, რომელსაც არავინ იშურებს ბეწვის ხიდზე მოსიარულე რეპორტიორებისთვის.

ამ ნაშრომის მიზანი არ არის საგანგებო სიტუაციების დროს მედიის ,,სტანდარტულ ჩარჩოებში" მოქცევა. ეს უფრო პრაქტიკოსი ჟურნალისტების გამოცდილებების შეჯამებაა. როგორ ხედავენ ამ ყველაფერს, წესებს, სტანდარტებს. უფრო კონკრეტულად კი, ორი პრაქტიკის ანალიზია: სტიქიური უბედურების გამო შექმნილი საგანგებო სიტუაცია **,,13 ივნისის წყალდიდობა“** და ტექნოგენური პირობებით გამოწვეული საგანგებო სიტუაცია **,,22 ნოემბრის სპეცოპერაცია“.**

კვლევის მეთოდოლოგია

დასაწყისშივე ვიცოდი, რომ საკვლევი არეალი ის სამაუწყებლო კომპანიები და ტელეჟურნალისტები იქნებოდნენ, რომლებსაც საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ საგანგებო სიტუაციებში მუშაობის. განხილვას არ ექვემდებარებოდა ის ფაქტიც, რომ მათ ჩამონათვალში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“, თუნდაც იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ განსხვავებით კერძო ტელევიზიებისგან, ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ერთადერთი კომპანიაა, რომელსაც კანონით დეკლარირებული სტანდარტი გააჩნია, რომელიც მოიცავს მთელ რიგ რეკომენდაციებს დაწყებული საპროტესტო აქციების გაშუქებიდან - სამოქალაქო არეულობისა და ტერორიზმის გაშუქების დამთავრებული. ამიტომ გამოკვეთილი ნიშანი იყო, რომ საკვლევ ჩამონათვალში ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენლები აუცილებლად იქნებოდნენ.

მომდევნო საკვლევ ჯგუფში გაერთიანდა ყველა კერძო მაუწყებელი - ,,რუსთავი 2“, ,,მაესტრო“, ,,იმედი“ და ,,ტვ პირველი“, რა თქმა უნდა, იმ ტელერეპორტიორების შემადგენლობით, რომელთა სახელსაც უკავშირდება ბოლო პერიოდის ყველაზე ხმაურიანი ტელეპროდუქციები და, განსაკუთრებით, საგანგებო სიტუაციებში უწყვეტ რეჟიმში მუშაობის გამოცდილება.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, კონკრეტულად კი სიღრმისეული პირისპირ ინტერვიუებით (სულ გამოიკითხა 12 ადამიანი) და ე.წ. ქეის სტადი. ქეისები შეირჩა თავად მოქმედ ჟურნალისტთა გამოკითხვით: კითხვაზე - ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში რომელ განსაკუთრებულ ამბავს გაიხსენებდით, რომელიც გამოირჩეოდა მასშტაბით, მნიშვნელობით და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით, ან დარღვევით? - პასუხად ყველა მათგანმა ორი მოვლენა დაასახელა: ეს იყო 13 ივნისის წყალდიდობა, როცა ტელემედიას საგანგებო სიტუაციაში უწევდა მუშაობდა და მეორე - 22 ნოემბერს ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაცია. სწორედ ამ შედეგებმა განსაზღვრა კვლევის მიმართულებებიც - პირველი, როცა საგანგებო რეჟიმს ქმნის ბუნებრივი კატასტროფა და მეორე, როცა საგანგებო რეჟიმს ქმნის არაბუნებრივი ქმედება. ასევე შერჩეული ქეისების, შესაბამისად, განისაზღვრა საკვლევი პერიოდიც - 2014 წლიდან დღემდე.

თავი 1. სტანდარტი და სახელმძღვანელო წესები

ქართულმა მედიამ შედარებით სუნთქვა და აზროვნება, რა თქმა უნდა, ჩარჩოებისა და ტაბუების მსხვრევის ფონზე, მხოლოდ 2000 წლიდან დაიწყო. ამავე პერიოდში გაჩნდა ერთგვარი ,,უსაფრთხო კუნძულების“ წარმოქმნის აუცილებლობაც და ამიტომ გადაწყვიტა ჟურნალისტთა, არც თუ ისე, მცირე ჯგუფმა განსხვავებულად ეფიქრა.

პოსტსაბჭოური ჟურნალისტიკისა და ცენზურის პირობებში გაზრდილი თაობისთვის, მათი სამართალმემკვიდრეების წამოწყება, არც მეტი არც ნაკლები, ღიმილისმომგვრელი იყო. ამიტომ შორეულ 2000-იანებში სიტყვათა შეთანხმებები ,,ეთიკის კოდექსი“, ,,პროფესიული სტანდარტი“, ,,თვითრეგულირების მექანიზმი“ და ა. შ. მხოლოდ ენციკლოპედიაში საძებნი ტერმინები უფრო იყო, ვიდრე მოახლოებული რეალობა.

დროს, ყველა ქვეყანაში რომ უსწრებდა მედია, ეს მაშინდელმა ქართულმა მედიამაც დაამტკიცა და უკვე 2003 წლისთვის, საქართველოში მოქმედი მედია საშუალებების წარმომადგენელმა ჟურნალისტებმაც შეიმუშავეს ასეთი ნორმები და ხელი მოაწერეს მედიის პროფესიულ სტანდარტს. ამ სტანდარტის თანახმად, მედია აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას ფლობდეს დროულ, ზუსტ და დაუმახინჯებელ ინფორმაციას. ჟურნალისტი აღიარებს ვალდებულებას საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია პროფესიული სტანდარტის დაცვით.

2003 წელს, როდესაც ქვეყანაში დაიწყო გარდამტეხი პერიოდი, ცხადია, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლა მოითხოვა თვითრეგულირების ინსტიტუციონალურმა მექანიზმებმა. მაუწყებლობის კანონმა ვალდებული გახადა სამაუწყებლო კომპანიები, რომ შეექმნათ მოქალაქეების საჩივრების განხილვის მექანიზმები. სწორედ ამიტომ კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ 2009 წელს მიიღო მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავდა ყველა იმ პროფესიულ სტანდარტს, რომლის დარღვევის შემთხვევაში მოქალაქეს ექნებოდა უფლება თვითრეგულირების ორგანოში საჩივრით შესულიყო ცალკეული მაუწყებლის წინააღმდეგ.

2009 წელსვე ჩაეყარა საფუძველი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, (www.qartia.ge) რომელმაც წლების მანძილზე შეძლო ბევრი ჟურნალისტის გაერთიანება ერთიანი პრინციპების ირგვლივ. ალბათ, არავისთვის იქნება უცხო თუ ვიტყვით, რომ დასაწყისში ამ მედია-ინსტიტუტს ბევრი კრიტიკოსიც გამოუჩნდა და კიდევ უფრო ბევრი სკეპტიკოსი. თუმცა, ჟურნალისტურმა ქარტიამ შეძლო, ყველაზე მთავარი ღირებულების მოპოვება - უსაგნო, უავტორიტეტო გაერთიანებად კი არ დარჩა, რომელიც მხოლოდ სამეწარმეო ამონაწერში დაფიქსირდებოდა, არამედ ანგარიშგასაწევ ორგანოდ, რომლის

რეკომენდაციასაც ექნებოდა ფასი. ის, რომ დღეს ქარტიაში გაწევრიანებული მედიის წარმომადგენელთა რიცხვი 318- აჭარბებს, იმაზე მიანიშნებს, რომ აქ შესული საჩივრებისა და განცხადებების უკან ის სამოქალაქო საზოგადოება დგას, რომელსაც მედია-ინსტიტუტების იმედი აქვს.

ალბათ, ლოგიკურიც იქნება ეს ხაზი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგითა და კვლევებით გავაგრძელოთ, რომლებიც მედიაკრიტიკაზე მუშაობენ, შესაბამისად, სწავლობენ ცალკეულ გადაცდომებსა და იმ შეცდომებს, რაც აისახება ჟურნალისტური სტანდარტებისა და კოდექსის დარღვევაში. რა თქმა უნდა, მიზანი ცალსახად ცნობილია - მედიის მხრიდან ნაკლები შეცდომების დაშვება, გაშუქების სპეციფიკის დახვეწა და ხარისხის ამაღლება, რაც პირდაპირ პროპორციულია პროფესიული პასუხისმგებლობის გაზრდასთან, ადეკვატურ გააზრებასთან უმთავრეს წერტილში - პასუხისმგებლობა და უფლება რომ ურთიერთდამოკიდებული ცნებები არის.

როგორც ცნობილია, პროფესიულ სტანდარტთან ერთად, არსებობს ეთიკური პრინციპებიც, რომლის დაცვაც ასევე საჭირო და აუცილებელია მედიისთვის. ამიტომ არავის უკვირს, თუ ეთიკის საერთაშორისო კოდექსების გარდა, სხვადასხვა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს საკუთარი ეთიკის კოდექსი გააჩნიათ, ხშირად მას მეორენაირად შინაგანაწესს, ან სარედაქციო კოდექსს უწოდებენ. თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცალკეული კორპორაციები თუ მაუწყებლები ერთ საერთო ეთიკურ კოდექსს ქმნიან, ემორჩილებიან და ერთიანი ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობენ. მაგრამ ერთია, ეთიკის კოდექსების თუ ჟურნალისტური სტანდარტების მიღება, მეორე მათი ჯერ დაცვა, მერე კი ეფექტურად გამოყენება.

ის, რომ განსხვავებული ეთიკის კოდექსებია, ხელს არ უშლის ბევრ რამეში ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდნენ. როგორადაც არ უნდა შევხედოთ, ყველა კოდექსის მნიშვნელოვანი პრინციპებია - სიტყვის თავისუფლება და ჟურნალისტის პროფესიონალიზმი. თუმცა, ვხვდებით ისეთ ქვეყნებს, სადაც ეთიკის კოდექსში ცოტა აბსტრაქტული ტერმინებიც იკითხება, მაგალითად: ,,პროფესიული სიწმინდე", ,ჟურნალისტური სული", ,,სინდისი" და ა.შ.

მაგალითად, საფრანგეთის ჟურნალისტთა კოდექსის თანახმად, ფრანგი ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობაა, **,,პატივი ეცი სამართლიანობას და მიანიჭე მას უმაღლესი პრიორიტეტი".** (www.nplg.gov.ge)

ავსტრია კიდევ უფრო შორს მიდის და აკონკრეტებს, რომ **,,ჟურნალისტიკა პასუხისმგებელია საჯაროობაზე, გამოყენებულ საინფორმაციო საშუალებასა და საკუთარ სინდისთან".** - ნათქვამია კოდექსის პირველივე მუხლში, მეოთხე მუხლის თანახმად კი, კერძო პირების ცილისწამება და მათ შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება „ჟურნალისტური სულის შებღალვაა". ცხადია, ვერავინ გააკონტროლებს, რამდენად აგებს ჟურნალისტი პასუხს საკუთარი სინდისის წინაშე, ავსტრიელმა ჟურნალისტებმა მაინც საჭიროდ მიიჩნიეს, სულ რაღაც ერთგვერდიან კოდექსში ამგვარი მუხლიც შეეტანათ, რითაც ხაზი გაუსვეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისთვის სინდისის კარნახით მოქმედება.

ჟურნალისტი მზად უნდა იყოს ისეთი შემთხვევისთვის, როცა სიტყვის თავისუფლება ადამიანის სხვა უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან მოდის კონფლიქტში. ბელგიის „ჟურნალისტური პრინციპების კოდექსი“ ასეთ შემთხვევებში ნდობას უცხადებს რედაქტორსა და მასალის ავტორს და მათ უტოვებს არჩევანის საშუალებას, თავად გადაწყვიტონ, რომელ უფლებას მიანიჭონ უპირატესობა. მრავალი ქვეყნის ეთიკის კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ჟურნალისტური ეთიკა პირდაპირ კავშირშია ადამიანის სხვა ძირითად უფლებებთან: „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა გულისხმობს მშვიდობის და საერთაშორისო ურთიერთგაგების, ასევე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. (ფინეთის ,სამართლიანი ჟურნალისტური პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“)

თუმცა, ეს ყველაფერი და მაგალითები ქართულ სინამდვილეს აშკარად სცდება. გარემო, რომელშიც თანამედროვე ტელემედია მუშაობს, სტანდარტებსა თუ კოდექსებს წერს, ან სულაც არღვევს, თვითრეგულირების და არსებობის მისეულ ნაბიჯებს დგამს.

ვიდრე კონკრეტული ქეისების განხილვას დავიწყებთ, მომდევნო თავებში წარმოგიდგენთ ქართულ სინამდვილეში შექმნილ სახელმძღვანელოს, რომლის მიხედვითაც ,,სასურველია“ და ,,არა ვალდებულია“ იმოქმედოს ჟურნალისტმა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, პირველად შემოგთავაზებთ სტიქიური უბედურებების დროს, საგანგებო მდგომარეობის პირობებში მომუშავე მედიის წარმომადგენლის მხრიდან დასაცავ წესებს, რომელზეც თავის დროზე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ შეადგინა.

თავი 2. ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქების სტანდარტი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2018 წლის 31 აგვისტოსს გამოსცა სახელმძღვანელო, სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ბუნებრივი კატაკლიზმები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი პირველი ქეისი, სწორედ ,,13 ივნისის“ ტრაგედიას ეხება, უპრიანია, ვიდრე ამ დღეს, საგანგებო რეჟიმში მომუშავე პრაქტიკოსი ჟურნალისტების მოსაზრებებს გავეცნობით, თუ რა პირობებში იღებდნენ და გადასცემდნენ ინფორმაციებს, შედარებისთვის გავეცნოთ თეორიულ რეკომენდაციებს. რას გვასწავლის ჟურნალისტური ქარტია:

პირველ რეკომენდაციას რედაქციებს აძლევენ და პუნქტებად უწერენ რა უნდა შეასრულონ. კერძოდ:

შეიმუშაონ სპეციალური პროტოკოლი ველზე მომუშავე და რედაქციაში დარჩენილი ჟურნალისტებისთვის;

აღჭურვონ ჟურნალისტი შესაბამისი ეკიპირებით და უსაფრთხოების ტექნიკით, რა თქმა უნდა, იმ სტიქიური კატაკლიზმისთვის, რომელიც სახეზეა;

გამოყონ ტრანსპორტი გადაადგილებისთვის, ასევე უზრუნველყონ საკვები, გათვალონ ყველა ტექნიკური დეტალი, მათ შორის, ისეთი ნიუანსიც, თუ როდის და როგორი ტიპის ტრანსპორტით დატოვებს სტიქიის ზონას ჟურნალისტი;

ჩაინიშნონ და მოიძიონ სხვა მედიასაშუალებების კოორდინატები, რათა საკუთარ კორესპონდენტთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, ადვილად შეძლონ საკუთარი გადამღები ჯგუფის პოვნა.

უფრო ჩაშლილია ის წინამოსამზადებელი სამუშაოები, რაც ჟურნალისტმა სტიქიის ზონამდე მისვლამდე უნდა შეძლოს:

მოიძიოს ინფორმაციის მაქსიმუმი მომხდარის შესახებ, შეუძლია ჩართოს ამ საქმეში და დაიხმაროს ადგილობრივი ჟურნალისტები;

შეადგინოს იმ ადამიანების სატელეფონო კონტაქტების ბაზა, დაწყებული სამთავრობო უწყებებიდან - დასრულებული ექსპერტებით, რომლებსაც შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციების მიწოდება;

ასევე მონიშნული უნდა ქონდეს იმ პიროვნების ტელეფონის ნომერი, რომელიც თავად კორესპონდენტს აღმოუჩენს პირველივე დახმარებას საჭიროების შემთხვევაში;

უნდა მოიძიოს ისეთი ადგილები, სადაც ხანგრძლივი მუშაობის პირობებში მოუწევს დარჩენა და ეპიცენტრიდან არაფერი გამოეპარება;

დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, რუკაზე მონიშნოს სასურველი მიმდებარე პუნქტები, ასევე აპლიკაციაც თან უნდა ჰქონდეს, რადგან ინტერნეტის გარეშეც შეძლოს ნავიგაციით მიაგნოს სამედიცინო ნაწილს, საევაკუაციო ადგილებს, კარვებს და ა.შ.

თან უნდა წაიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა, კამერისა თუ ტელეფონის დამტენები, კვების ბლოკები, ასევე სიმ ბარათები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქსელის, რადგან გამოირიცხოს ალბათობა ვერ დაკავშირების;

უნდა იცოდეს კონკრეტული მოკავშირე, ვისაც დაეკონტაქტება ჟურნალისტი და მიიღებს დავალებებს მისგან, მაგრამ თუკი იგრძნობს საფრთხეს მუშაობის დროს, მიუხედავად იმისა, დართავს თუ არა მას ნებას რედაქცია დატოვოს სამუშაო არეალი, ჟურნალისტს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, თუმცა უნდა დაასაბუთოს არგუმენტირებულად საკუთარი გადაწყვეტილება და რედაქციას აცნობოს ამის შესახებ, ვიდრე იქაურობას გაეცლება.

მომდევნო რეკომენდაციაში ქარტია უკვე ტექნიკურ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, თუ რა ტიპის სამოსი, ან ფეხსაცმელი უნდა ეცვას ჟურნალისტს. უფრო სიღრმეშიც შედის და პირველივე ფრაზაში ურჩევს ჟურნალისტს, რომ გადაამოწმოს ამინდის პროგნოზი და იმის მიხედვით მოირგოს მოხერხებული ტანსაცმელი. დეტალურად კი, ასე გამოიყურება ეს ნაწილი:

 წყალდიდობის დროს ფეხსაცმელი უნდა ჩაიცვან მაღალყელიანი, რომელიც ასევე მსუბუქიც იქნება, დახურულიც და მოხერხებულიც;

შარვალიც უნდა იყოს მსუბუქი, გამორიცხულია ჯინსი, რადგან დასველების შემდეგ ნაჭერი ძალიან მძიმდება, რაც სიარულს გაამნელებს. კატეგორიულად გამორიცხავენ სამხედრო უნიფორმის შეფერილობის სამოსის გამოყენებას, სამაგიეროდ, არჩევანში ნებადართულად რჩება ღია ფერის ტანსაცმელი;

აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჟურნალისტს ლაბადა, ნიღაბი, შარფი რომ თავი დაიცვას სასუნთქი გზების დაბინძურებისგან, მნიშვნელობა არ აქვს რა იქნება - მომწამვლელი გაზი

თუ კვამლი, მაგრამ არ უნდა ეკეთოს სამკაულები, განსაკუთრებით ძვირადღირებული ნივთები.

მომდევნო რეკომენდაცია უკვე საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს ეხება. თუ რა უნდა გაითვალისწინოს ჟურნალისტმა, როცა სტიქიურ ზონაში სამუშაოდ მიდის:

სასურველია ჟურნალისტმა უსაფრთხო მოსასვენებელი ადგილი შეარჩიოს, საოჯახო ტიპის, ან ჩვეულებრივ სასტუმროში;

თან ისეთი ლოკაცია შეარჩიოს, რომ ირგვლივ დასახლებული პუნქტი და შედარებით განვითარებული ინფრასტრუქტურა იყოს;

მოერიდოს ჩიხებს, საცალფეხო გზებსა და ჩაკეტილ მონაკვეთებს, მათ შორის, სადაც დარჩება იმ შენობის გეგმაც ნახოს და, რაც მთავარია, თითოეული გადადგმული ნაბიჯის შესახებ ინფორმირებული უნდა ყავდეს რედაქციაში ზემდგომები;

სტიქიურ ზონაში მუშაობის დროს, თუ ქარიშხალია, ან ხანძარი - არ უნდა შეეფაროს ხეებს ჟურნალისტი, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ ტოტი, ხე, ან სულაც მეხი დაეცეს;

ასევე ფეხშიშველმა არ უნდა იაროს, განსაკუთრებით წყლიან ადგილებში, რადგან ადვილი შესაძლებელია ელექტრო კაბელებმა საფრთხე შექმნას;

აუცილებელია ქარის მიმართულების კონტროლი, ხანძრის ძლიერი ლოკაციებიდან დისტანცირება, ისევე როგორც მანქანის კარი არ უნდა ჩაიკეტოს, ვენტილაცია გამოირთოს და ფანჯრები უნდა ამოიწიოს, რადგან ხანძარმა არ დააშავოს.

ქარტიას მხედველობიდან არ რჩება რეკომენდაცია შინაარსობრივ მხარეზეც მისცეს ჟურნალისტებს, მათ შორის, თუ რა ტონალობაში უნდა გააშუქონ სტიქიური ზონები:

სტიქიის დროს ხშირია დაუზუსტებელი ინფორმაციების გავრცელება. მათ შორის, პოპულარობით გამოირჩევა ჭორები, გამოგონილი ისტორიები, რაც შემთხვევის ადგილზე მყოფ დაზარალებულებს აბნევს და საფრთხესაც უქმნის;

 აუცილებელია, რეპორტიორის თხრობა იყოს მშვიდი, გაწონასწორებული, რადგან არ გააჩინოს შიშის საფუძველი და არ გამოიწვიოს მასობრივი პანიკა;

სტიქიის ზონაში მომუშავე ჟურნალისტებს, ბევრ შემთხვევაში ერევათ ერთმანეთში აქტივიზმი და პროფესიული მოვალეობა. სასურველია, მკაფიოდ იყოს გავლებული ზღვარი, რადგან არ გაჭირდეს ბალანსირება და ახსოვდეს რომ გადაღებაზეა და არა მისიაზე;

რედაქცია იმთავითვე უნდა ჩამოყალიბდეს, თუ როდის იწყებს საგანგებო მუშაობას და რომელი მიმართულებით, უწყვეტ ეთერში ტრანსლირება ექნება მხოლოდ, ფეისბუქში განათავსებს თუ ოფიციალურ საიტზე;

საგანგებო სიტუაციაში მუშაობისას რეპორტიორი მაქსიმალურად უნდა ეცადოს გადამოწმებული ინფორმაციების გავრცელებას, თუ მაინც მოხდა ისეთი მასალის მიწოდება, სადაც ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ინფორმაციებია, მედიის წარმომადგენელი ვალდებულია, უთხრას ეს მაყურებელს;

ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები კი თვითმხილველები არიან, მათთან სიფრთხილეა საჭიროა და ბევრი ამომწურავი კითხვის დასმა, ასევე მაქსიმალური ფილტრაცია უნდა მოხდეს სხვების მიერ მოწოდებული ვიდეო თუ ფოტო მასალების, რათა დიდია შანსი ყალბი მედია-პროდუქტის გავრცელების. ამიტომ რედაქცია ვალდებულია არ გაატირაჟოს, ვიდრე არ დარწმუნდება მოწოდებული მასალის ნამდვილობაში.

ისევე როგორც აუცილებელია ჟურნალისტმა ადგილზე მუშაობისას მოიძიოს ისეთი დეტალები, რომელიც დაეხმარება მას გაშუქებაში. შეისწავლოს რისკები, რომელიც საფრთხის მატარებელია, მოიძიოს ის სამთავრობო რგოლები, რომელთა უშუალო ვალდებულებაცაა ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. მიყენებული ზარალის შესახებ ბოლო ინფორმაციები და დაზარალებულებისთვის დახმარების აღმოჩენის გზები.

ცალკე რეკომენდაციის სახე აქვს დაზარალებულებთან ურთიერთობას, თუ რაზე უნდა თქვას უარი ტელემედიამ და რას უნდა გაუსვას ხაზი:

სტიქიის დროს დაზარალებული ადამიანები ყოველთვის ემოციურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და, ხშირ შემთხვევაში, ასეთი სტრესული დამოკიდებულების გამო ხვდებიან ობიექტივებში. ამიტომ აუცილებელია გაახსენდეს რეპორტიორს, რომ ამ დაზარალებულ ადამიანებსაც აქვთ პირადი ცხოვრება და მათი პერსონალური სივრცის დარღვევა ღირსებას ულახავს მათ;

უნდა მიაქციოს ყურადღება რა რაკურსით და ფორმით ჩანს ეს ადამიანი კადრში, არ უნდა აიძულოს დაზარალებული გაიხსენოს ზედმიწევნითი სიზუსტით, რა გადაიტანა მძიმე წუთებში;

თუ არ სურთ საუბარი დაზარალებულებს, არ უნდა გაეკიდოს ჟურნალისტი, ისევე როგორც თუ უარს ამბობენ საცხოვრებელი პირობების გადაღებაზე, არ უნდა შეიჭრას ძალით მათ სახლებში;

არ არის გამართლებული დაზარალებულებს თავი მოაბეზროს ჟურნალისტმა სატელეფონო ზარებითა და შეტყობინებებით, ასევე ხშირი მოკითხვებით;

განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო დაკრძალვის გაშუქებასთან დაკავშირებით, ნებართვის გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ტრანსლირება ჩაითვალოს გამართლებულად, მედია საშუალება თუ არგუმენტირებულად ჩამოაყალიბებს საზოგადოების მაღალ ინტერესს. სხვა შემთხვევაში წინასწარი შეთანხმებაა აუცილებელი გარდაცვლილის ოჯახთან;

ასევე გამოყოფილია ცალკე რეკომენდაციად მასალის ვიზუალური მხარე, თუ როგორ უნდა იმუშაოს მედიამ, სხვადასხვა, მძიმე შემთხვევების დროს:

თუ რედაქციამ აუცილებლობად ჩათვალა დაღუპულების, დასახიჩრებულებისა და არაესთეტიური ვიზუალის მქონე ადამიანების ჩვენება, მიზანშეწონილია მოხდეს აუდიტორიის წინასწარ გაფრთხილება, უფრო მკაცრი მითითებაა პრესის მისამართით. მსგავსი ხასიათის ფოტოების პირველ გვერდზე გამოქვეყნება დაუშვებელია, ისევე როგორც უნდა გამოირიცხოს ხმის სპეკულაცია, კადრების გადათამაშება და რეკონსტრუქცია უნდა ჩანდეს მკაფიოდ;

თუმცა, ვიდრე ამ რეკონსტრუქციამდე მივა რედაქცია, უნდა გადაიხედოს ყველა ის აუცილებლობა და მიზეზი, თუ რატომ უნდა მოახდინოს ,,სიტუაციის მოდელირება“ მედია საშუალებამ, რას მისცემს ახალს მძიმე კადრების განმეორებით ტირაჟირება და რამდენად მიზანშეწონილია ხელმეორედ გაიარონ ის ტანჯვა და ნერვიულობა იმ ადამიანებმა, რომელთაგან ბევრი გადაურჩა დაღუპვას, ნაწილი ვერა;

აქ სრულდება ჟურნალისტური ქარტიის გამოცემის, კონკრეტულად, ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქების რეკომენდაციები - ის წესები, რაც დაამტკიცა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭომ და, ბუნებრივია, გამოცემის შემდეგ სახელმძღვანელოს სახე მიიღო. როგორ იყენებს ამ რეკომენდაცია - სტანდარტებს მედია, რამდენად ეხმარება ტელემედიის წარმომადგენლებს მსგავსი თეორიული წესები და, საერთოდ, იცნობენ თუ არა ამ ტიპის სტანდარტებს ჟურნალისტები, მომდევნო თავში გაეცნობით.

თავი 3 – 13 ივნისის ტრაგედია და ტელეჟურნალისტების მუშაობა

ერთია სხვადასხვა გამოცემაში დაბეჭდილი თუ ექსპერტების მიერ შედგენილ რეკომენდაცია-სახელმძღვანელოებში დანახული ტელემედია და ,,საგანგებო სიტუაციის“ გაშუქება, მეორე ის რეალობა, როცა არც დრო გაქვს ,,ამინდის პროგნოზის გადამოწმების“, არც ,,ბოტების“ ჩაცმის თავი და წინასწარ ვერც იმ ადგილს საზღვრავ, სადაც მუშაობა მოგიწევს.

ალბათ, ტერმინიც - ,,საგანგებო სიტუაციაც“ ამის მანიშნებელია. შექმნილი მოცემულობა თავისთავად ნიშნავს, რომ წინასწარ ყველა შემთხვევის განხილვა და გათვლა არის შეუძლებელი, შესაბამისად, რეცეპტი - როგორ უნდა იქცეოდეს, ან უნდა მოიქცეს ჟურნალისტი კონკრეტულ შემთხვევებში, მაინც არ არსებობს.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც საგანგებო, ისე ჩვეულ სამუშაო რეჟიმში, ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი აუდიტორიისთვის და უნდა დავეყრდნოთ როგორც პროფესიულ სტანდარტებს, ისე ეთიკის აღიარებულ ნორმებს და, ბუნებრივია, კანონსაც. ხშირ შემთხვევაში ამ ნომრების დაცვა (უფრო ეთიკური) რთულია, მაგრამ - არა შეუძლებელი. რთულია, პირველ რიგში კონკურენციის პირობებში, როდესაც ყველა მედიასაშუალება ცდილობს სხვაზე მეტი ინფორმაციის, ან განსხვავებული დეტალების მოპოვებას და მაყურებლისთვის მიწოდებას. საგანგებო სიტუაციაში კი, რთულდება ზღვარის დაცვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემასა და ეთიკურ ნორმების დაცვას შორის.

ის, რომ წინა თავში (,,ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქების სტანდარტი“ - დ. მ.) უკვე გავეცანით თუ რა წესებით უნდა იხელმძღვანელონ მედიის წარმომადგენლებმა ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქებისას, არ ნიშნავს იმ ფაქტს, ამ წესებისა თუ რეკომენდაციების დარღვევით მომუშავე ჟურნალისტები გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებდნენ. მეტი სიცხადისთვის, ამ ნაშრომში ყველაზე მრავალრიცხოვანი ტრაგედიის გაშუქების დღეს განვიხილავთ - ,,13 ივნისის წყალდიდობას და ტელე მედიის მუშაობის სტანდარტებს“.

შევეცდები იმ კოლეგების მოსაზრებები გადმოგცეთ, ვინც იმ ღამით, და არა მარტო 13 ივნისს, საგანგებო რეჟიმში იმუშავა და პროფესიულ მოვალეობასთან ერთად, სამოქალაქო ვალიც მოიხადა.

მარიამ გაფრინდაშვილი - ჟურნალისტი, ,,რუსთავი 2“ - ,,13 ივნისს, ჩემი აზრით, ტელემედიამ იმუშავა ძალიან კარგად, მითუმეტეს, მედია ასეთი მასშტაბური ბუნებრივი კატასტროფის პირისპირ აღმოჩნდა პირველად და, მართლა, ღირსეულად გაართვა თავი. რაც შეეხება წესებს, მსგავსი სიტუაციის დროს, ჩემთვის პირადად, გაშუქების დროს უპირველესია, არ ჩავვარდე

პანიკაში და ჩემი პირადი ემოცია ვაკონტროლო, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო მდგომარეობა უკიდურესად მწვავეა. ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი ემოციით მაყურებელი არ ჩააგდო პანიკაში. სწორედ ამ ნაწილს გაართვა კარგად თავი ქართულმა ტელემედიამ 13 ივნისის ღამეს.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროს არ ეძებო, თუ რა შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ. უნდა იყო ჟურნალისტი, მაგრამ მოქალაქეც, იპოვო მათთან ერთად გამოსავალი, არ იყო კრიტიკული, რადგან ამ უკანასკნელს მოასწრებ სულ, თუნდაც მერე, როცა დასრულდება სტიქია და ადამიანების სიცოცხლეს აღარ დაემუქრება საფრთხე.

ჩემთვის 13 ივნისის ღამით მუშაობისას ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, სწრაფად მიმეღო ინფორმაციები სახელმწიფო უწყებებისგან, რომ ასევე დაუყოვნებლივ გადამეცა ეთერში და მაყურებლებს შესძლებოდათ გაეგოთ, როგორ გადაერჩინათ საკუთარი სიცოცხლე და ასევე დახმარებოდნენ სხვებსაც. გაეგოთ ამბები იმ ახლობლებზე, რომლებიც ჩარჩენილი იყვნენ სხვადასხვა მონაკვეთზე - მთავარი პრიორიტეტი მაინც იყო ინფორმაციის სწრაფი მიღება და გავრცელება.

არ ვიცი, სტანდარტს ეძახით თუ რას, მაგრამ ჩემი პირველი წესიც ეს იყო სტიქიის დროს - გქონდეს პასუხისმგებლობა არ მიაწოდო გადაუმოწმებელი ინფორმაცია და არ ჩააგდო მაყურებელი პანიკაში. მაგალითად, იყო შემთხვევა, იგივე 13 ივნისს, გავიგე პირველი მსხვერპლის შესახებ, მიუხდავად იმისა, რომ ყველა ჟურნალისტი ცდილობს დაასწროს კოლეგებს ინფორმაციის გავრცელება, მე დავმალე. ნუ, ცოტა ისეთი ნათქვამია - დავმალე, უბრალოდ, არ ვთქვი! პირველი ის, რომ ეთერში ვმუშაობდი და დრო არ მქონდა მისი გადამოწმების და, მეორეც, ისედაც უკიდურესად მძიმე სიტუაციაში პანიკისა და შიშის დათესვას მოვერიდე, ჯერ კიდევ სხვადასხვა ადგილებში იყვნენ ადამიანები ჩარჩენილები და შველას ითხოვდნენ.

ვფიქრობ, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება, ერთგვარი პასუხისმგებლობაცაა, უნდა გახსოვდეს ყოველთვის, გაავრცელო გადამოწმებული ინფორმაცია, რადგან იმ ცისფერი ეკრანის მიღმა ზის, სავარაუდოდ, მსხვერპლის დედა, მამა, ან სულაც ოჯახის რომელიმე წევრი, გისმენს და შენგან იტყობს რომ უახლოესი ადამიანი გარდაეცვალა. ამიტომ სულ ვცდილობ, რომ გადავამოწმო ყველა ინფორმაცია, და ერთიცაა, გასაგებია რომ მასალის ექსკლუზიურად გავრცელების სურვილი დიდია, მაგრამ არსებობს ადამიანური მორალი და ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოპერატიულად გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება“.

ვასილ დაბრუნდაშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია ,,იმედი“ - ,,13 ივნისის დროს, მთავარი შეცდომა იყო ის, რომ არ ვიცავდით კონკრეტულ მითითებებს, რომელიც უსაფრთხოებას ეხებოდა. მედია არ ითვალისწინებდა პოლიციის თითქმის არც ერთ მოწოდებას. წარმოგიდგენიათ? - ქალაქში ცხოველები თავისუფლად დარბოდნენ და ჩვენ, იმიტომ რომ გვქონოდა კადრი, ჟურნალისტური მასალა ოპერატიულად მიგვეწოდებინა - დავსდევდით მათ. მაშინ სულ სხვა რამეს ვუფიქრდებოდით უფრო, ეს ეხებოდა უწყვეტ

რეჟიმში, საგანგებო სიტუაციაში მომუშავე გამოშვებებს, როცა ხვდები რომ მაყურებელი სულ ახალ ამბავს, ახალ კადრს ელოდება შენგან.

ბევრი შემედავება ამ თემაზე, მაგრამ ჩემი აზრით, ბოლომდე ჩამოყალიბებული სტანდარტები თუ როგორ შეიძლება მოიქცე საგანგებო სიტუაციების დროს, რომელიც პრაქტიკაში უკვე დანერგილია და გამოცდილი, არა თუ ქართულ რეალობაში, მსოფლიო მედიაშიც კი არ არსებობს . არსებობს მხოლოდ ზოგადი ნორმები და წესები, რომელიც შესაძლოა დაიცვა, მაგრამ კიდევ ერთხელ განვმეორდები, 13 ივნისს ვმუშაობდით ჟურნალისტები საკუთარ სიცოცხლის რისკის ფასად, მხოლოდ იმიტომ რომ დროულად მოგვეპოვებინა ინფორმაცია, მიგვეწოდებინა მაყურებლისთვის, რისკის ზონებზე ჰქონოდათ წარმოდგენა და გადაერჩინათ საკუთარი და სხვების სიცოცხლე.

არ ვიცი, დღესაც იგივე აზრზე ვარ - ,,თავებსა და ქვეთავებში“ მოცემული ნორმები ვერასდროს ვერაფერს მოგცემს ჟურნალისტს. გარდა იმისა, რომ თეორიულ ცოდნას გაიღრმავებ ალბათ. ყველაფერი მაინც არის პრაქტიკა, გამოცდილება, არავინ არ იცის, როცა აღმოჩნდები ექსტრემალურ, ან საგანგებო ვითარებაში, ეს ქვეთავები საერთოდ დაგჭირდება თუ არა. ასე რომ, ჯობია ,,თავები“, ,,სახელმძღვანელოები“, ,,სტანდარტები“ და ,,კოდექსები“ შენს თავში შექმნა და წესებიც შენ თვითონ განსაზღვრო“.

ანა ლაპიაშვილი - ჟურნალისტი, ,,ტელეკომპანია მაესტრო“ - ,,საგანგებო სიტუაციებში მუშაობის რაიმე სტანდარტი, მზა გეგმა, განაწილებული როლები წინასწარ ამა თუ იმ სიტუაციისას ,,ნიუსრუმში“, პრაქტიკულად, არც ერთ ქართულ მედია საშუალებაში არ არსებობს. პირადი გამოცდილებით გეტყვი, რომ საგანგებო შემთხვევების დროს, უმეტესად, სამოქმედო გეგმა ლოკალურად, კონკრეტული შემთხვევის თუ მოვლენის საპასუხოდ დგება.

ზოგადად, ტელემედია უშვებს თუ არა შეცდომებს, ან როგორ მუშაობს საგანგებო სიტუაციებში, ჩვენზე მეტად მაყურებელმა უნდა შეაფასოს და გაცილებით ობიექტურიც იქნება. თუმცა, თუ მაინც გავიხსენებთ ქრონოლოგიურად - ტელემედიის პრობლემა 13 ივნისის ღამეს, დაგვიანებული რეაქციები და არაკოორდინირებული მუშაობა იყო. მათ შორის, არაორგანიზებულად მუშაობა საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლებთან. 13 ივნისს ზედმეტად ბევრი პრობლემა იყო, დაწყებული ბუნებრივი კატასტროფით და მედიის გამოუცდელობით, დასრულებული კიდევ უფრო გამოუცდელი სახელმწიფო სტრუქტურებით. ამიტომ შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ 13 ივნისს არანაირი სტანდარტი არ არსებობდა. არც მოქალაქეების და არც ჟურნალისტების უსაფრთხოება, არც ერთი სტანდარტით დაცული არ იყო. ამიტომ საუბარი რაიმე წესებსა და რეკომენდაციებზე, თეორიულ შაბლონებზე, ცოტა უხერხულიცაა.“

ირაკლი ჩიხლაძე – ჟურნალისტი, ,,ტელეკომპანია მაესტრო“ – ალბათ, გამიჭირდება დავასახელო ბოლო დროის ყველაზე მასშტაბური და დიდმსხვერპლიანი სტიქიური უბედურება, როგორიც 13 ივნისი იყო. მახსოვს, მაშინ ,,მაესტროს“ აღმასრულებელი პროდიუსერი ვიყავი და იმ ღამით ,,მაესტრო“ გეგმიურ ტექნიკურ რეორგანიზაციაზე იყო,

ანუ ეთერში პირდაპირ სიგნალს ვერ ვაძლევდით, მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთელი ტელევიზია იყო მობილიზებული, ყველა კამერა და ყველა ჯგუფი მთელი ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდნენ, ნურავინ დაიჩემებს რომ ვინმეს ადარდებდა რაიმე სტანდარტი, შეუძლებელი იყო ამაზე გეფიქრა, ის ღამე იყო ურთულესი, როგორც ადამიანურად, ისე პროფესიულად... მხოლოდ გამთენიის ხანს აღდგა ჩვენი მაუყებლობა და, ცხადია, მას შემდეგ საგანგებო რეჟიმში ვმუშაობდით.

ვერ გეტყვით, რომ 13 ივნისს, თუ ვერ მოახერხა ,,მაესტროს“ პროდიუსინგმა მაღალყელიანი ბოტების დარიგება, ან სულაც არ გახადა ჯინსის შარვლები, რაც მედიის წარმომადგენლებისთვის ყველაზე პრაქტიკული სამოსია, გაუჭირდათ სიარული, ან გადაღება ვერ მოახერხეს, ან ადამიანების დახმარება. და ამ ნაწილზე მინდა განსაკუთრებით ყურადღების გამახვილება, როცა მიგვითითებენ ხოლმე, ჯერ პროფესია და შემდეგ ,,კეთილი მისიები“, არ გამოდის პრაქტიკაში ასე - მახსოვს, სვანიძის ქუჩაზე, რომელიც ერთ-ერთი ეპიცენტრი იყო, ჩვენი ოპერატორი იღებდა კადრებს, მოულოდნელად გამოცურა ხანშიშესულმა კაცმა, რომელსაც ძალა აღარ ჰქონდა და ეჭიდებოდა ყველაფერს, რაც გზად ხვდებოდა... ბოლოს რომ უნდა დანებებოდა, კადრი გაწყდა და იცით რატომ? ოპერატორი შევიდა წყალში და გამოიყვანა - ახლა კითხვა მაქვს თეორეტიკოსებთან: ზღვარი რომ გაევლო პროფესიულ მოვალეობასა და სამოქალაქო აქტივიზმს შორის ,,მაესტროს“ ოპერატორს, ის ადამიანი დაღუპულიყო, კადრს, რომელსაც ადამიანის სიკვდილის ფასი ექნებოდა, რომელი სტანდარტი მოერგებოდა ხომ ვერ მეტყვით?!

ამიტომ ვფიქრობ რომ სტანდარტები ქაღალდზე დაწერილი უფრო მოქმედებს, ვიდრე რეალურ ჟურნალისტიკაში, მით უმეტეს საგანგებო სიტუაციებში, თუმცა, ეს არ გამორიცხავს რომ საერთოდ უარი ვთქვათ სხვა ბევრ კარგ რეკომენდაციასა და წესზე. უბრალოდ, პრაქტიკაში მაინც ყველაფერი უკუღმაა“

3.1 - დაშვებული შეცდომები და რეკომენდაციები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციის წინ ჟურნალისტები ყველაზე საჭირო ადამიანები ხდებიან. ისევე როგორც პირველი სამიზნეებიც ასეთ დროს ნებისმიერი მხრიდან - მედიის წარმომადგენლები არიან. დაუმსახურებელი აგრესიის, თუნდაც ძალადობისა და შეურაცხყოფის ადრესატები ხშირად იმ ჯგუფის წევრები არიან, პირველები რომ ეჩეხებიან ურთულეს მდგომარეობას და აღბეჭდავენ ისე უდანაკარგოდ ყველაფერს, ტელეეკრანთან მოკალათებულ მაყურებელს ჰგონია, რომ თავადაც მოცემულ ლოკაციაზე იმყოფება და ,,საკუთარი თვალით“ ხედავს იმ დღის მთავარ მოვლენას. მათი როლი მსგავს სიტუაციებში განსაკუთრებულია და გადაჭარბებულად არ ჩაითვლება თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მისაღებები და საჭირონი არიან საზოგადოებისთვის.

მსგავსი საჭიროება და აუცილებლობა გააჩინა 2015 წლის 13 ივნისის ღამემაც - ტელე და სოციალური მედია აღმოჩნდა ის გზამკვლევი, რომელიც მოსახლეობას თან შემზარავ კადრებს უჩვენებდა და ამბებს უყვებოდა, თან პირველი აცნობდა დახმარების გზებსა და საშაუალებებზე. იმ ღამით, სრულიად მედია საგანგებო რეჟიმში, უწყვეტი ეთერებით ტრანსლირებდა და მოსახლეობას იმედის, ხვალინდელი უკეთესობისკენ ახედებდა.

ასე მოხდა 2015 წლის 13 ივნისის ღამესაც - ტელევიზიის და სოციალური მედიის წარმომადგენლები იქცნენ მოსახლეობისათვის ყველაზე საიმედო გზამკვლევად. 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურება ქართული მედიის მთავარ თემად იქცა და თითქმის ყველა მედიასაშუალება საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. ძლიერი წვიმის და მდინარე ვერეს ადიდების გამო ქუჩების დატბორვის შესახებ ინფორმაცია, 13 ივნისს ღამის 12 საათისთვის გავრცელდა.

როგორ შეაფასა მედია სტანდარტმა და ექსპერტებმა იმ ღამით ჟურნალისტების მუშაობა, რა შეცდომებს მიაგნო, ან რა სახის რეკომენდაციებით შემოიფარგლა, ნაშრომის ამ კონკრეტულ თავში გაეცნობით, სადაც შევეცადე მაქსიმალურად მიახლოებული სურათი მომეცა იმ მოვლენების, სადაც პროფესიული მოვალეობა და სამოქალაქო აქტივიზმი ზღვარწაშლილი იყო.

დავიწყებ ექსპერტის, ნათია კაპანაძის კვლევით, რომელიც www.media.ge -მ გამოაქვეყნა და ყველაზე კარგად ეხმიანება 13 ივნისის ღამეს ტელემედიის მუშაობას: **,,მომხდარის გაშუქება ტელეარხებიდან პირველმა ,,რუსთავი 2“ -მა დაიწყო. გვიან ღამით, 02:30 წუთზე პირველი სპეციალური საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“ გავიდა. მანამდე არხი მაყურებელს მორბენალი სტრიქონით აწვდიდა ინფორმაციას. არხი პირდაპირ ეთერში, უწყვეტ რეჟიმში დარჩა დილის 6 საათამდე. მაყურებელს სთავაზობდნენ განახლებულ ინფორმაციას,**

გადამღები ჯგუფები სხვადასხვა უბნებში მუშაობდნენ. „კურიერი“ ეთერში ერთ საათში დაბრუნდა და 14 ივნისს მთელი დღის განმავლობაში ყოველ საათში ერთხელ გადასცემდა ინფორმაციებს. საღამოს კი, ტოკ შოუ „არჩევანის“ გაუშვეს ეთერში, სადაც სტუმრებთან ერთად, განიხილეს როგორც სტიქიის შედეგები, ასევე ის მიზეზები, რამაც ეს შედეგები გამოიწვია.

შედარებით გვიან, ღამის 3 საათზე გავიდა სპეციალური საინფორმაციო გამოშვება „იმედის“ ეთერში და 05:23 წუთამდე გადასცემდა სტიქიის ამსახველ კადრებს კომენტარის გარეშე. 15 ივნისს კი, საინფორმაციო გამოშვება უკვე სტიქიის ზონიდან მიჰყავდათ წამყვანებს.

„იმედის“ საინფორმაციო გამოშვება სტუდიიდან მხოლოდ 14 ივნისს 11:00 საათზე გავიდა. ამის შემდეგ არხმა საგანგებო რეჟიმში დაიწყო მუშაობა - თბილისში სხვადასხვა წერტილიდან რთავდნენ ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში და განახლებულ ინფორმაციას აწვდიდნენ მაყურებელს. ასევე კომენტარის გარეშე სთავაზობდნენ ღამით გადაღებულ კადრებსაც. საღამოს 8 საათზე ეთერში გაუშვეს „იმედის კვირა“, სადაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად იმსჯელეს მომხდარზე და მაყურებელს ბოლო ინფორმაცია მიაწოდეს.

17 ივნისს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით ეკა ხოფერიას საქველმოქმედო გადაცემის „იმედი თბილისისათვის“ მეშვეობით სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად 1 563 197 ლარი შეგროვდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა საკუთარ მაყურებელს მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ გვიან ღამით, 03:10 წუთზე ამცნო. საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ პირდაპირ ეთერში რთავდა ჟურნალისტებს, რომლებიც სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ და უწყვეტ რეჟიმში ავრცელებდა განახლებულ ინფორმაციას 06:10 წუთამდე.

ამ თემას მიეძღვნა გადაცემა „რეალური სივრცე“ და სტუმრებთან ერთად განიხილეს ღამით მომხდარი სტიქიური უბედურება.

„მაესტრომ“ საკუთარ მაყურებელს ღამით განვითარებული მოვლენების შესახებ 14 ივნისს დილით 12:00 საათზე ამცნო. მანამდე ეთერში ფილმები და სერიალები გადიოდა. წამყვანმა აღნიშნა, რომ ტექნიკური გეგმიური სამუშაოები მიმდინარეობდა და არხმა ღამით ეთერში გასვლა ვერ შეძლო მიუხედავად იმისა, რომ გადამღები ჯგუფები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ.

„კავკასიის“ ეთერში, არც გვიან ღამით და 14 ივნისს მთელი დღის განმავლობაში, არც ერთი საინფორმაციო გამოშვება არ გასულა. ამ ტელეკომპანიამ საკუთარ მაყურებელს სტიქიური უბედურების შესახებ დღე ნახევრით გვიან, მხოლოდ 15 ივნისს 17:00 ამცნო.

Mediacheker - ის შეფასებით, არც ერთ არხზე, რომელიც ტრაგიკულ მოვლენებს ოპერატიულ რეჟიმში აშუქებდა, არ მომხდარა გარდაცვლილების იდენტიფიცირება, ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებამდე. მაუწყებლებს არ გადაუციათ გადაუმოწმებელი ინფორმაცია გარდაცვლილების შესახებ, არ უჩვენებიათ ახლო კადრით ცხედრები და არ შეულახავთ დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისად, წინა ღამით გადაღებულ მასალას, ეთერში გაშვებისას, მითითებული

ჰქონდა კადრების გადაღების თარიღი, რითიც თავიდან იქნა აცილებული მაყურებლის შეცდომაში შეყვანა.“ - წერდა www.media.ge

13 ივნისის ღამეს, სტიქიის ზონაში, ასევე სტიქიის პირისპირ ჟურნალისტები პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, იმაზე ბევრჯერ მეტსაც აკეთებდნენ, ვიდრე ევალებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ არც სპეცეკიპირება ჰქონდათ, არც ტექნიკა და არც შესაბამისი მომზადება ჰქონდათ გავლილი. უბრალოდ, პირველად მუშაობდნენ არა ოპერატიული ექსკლუზივისთვის, არამედ ოპერატიული დახმარებისთვის და იმ დღეს ქართულმა მედიამ დაამტკიცა, რომ მიუხედავად კონკურენციისა, შეუძლია იყოს ერთიანი სხეული, როცა საქმე უამრავი სიცოცხლის გადარჩენას ეხება.

განსაკუთრებულ აღნიშვნას და ხაზგასმას საჭიროებს ის ფაქტიც, რომ თუ ვინმემ იმუშავა ამ საგანგებო სიტუაციაში და პირველმა გაავრცელა ინფორმაცია, ეს იყო არა ტელემედია, არა ონლაინ მედია და საინფორმაციო სააგენტოები, არამედ სოციალური ქსელი და ის პოსტები, რომლითაც რიგითი მოქალაქეები ქვეყანას, ხელისუფლებას და ერთმანეთს ხმას აწვდენდნენ როგორც შეეძლოთ. ერთმანეთის გადარჩენას ჰქონდა სოციალური აქტივიზმის არნახული სისწრაფეც და მასშტაბიც.

თავი 4 - ტერორიზმის გაშუქების სტანდარტი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა 2015 წლის 26 ნოემბერს, მოცემულია ის წესები და რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ ტერორიზმის გაშუქების დროს მედიის წარმომადგენლებმა. რადგან ჩვენი კვლევა ორი პრაქტიკისგან შედგება, ,,13 ივნისის სტიქიის გაშუქება“ უკვე განვიხილეთ, ლოგიკურად გვიწევს გადავინაცვლოთ ,,22 ნოემბრის სპეცოპერაციაზე“, თუ როგორ იმუშავეს რეპორტიორებმა, რა შეცდომები დაუშვეს. თუმცა, მანამდე აუცილებელია გავეცნოდ ქარტიის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს, რომელიც ტერორიზმის გაშუქების სტანდარტს განსაზღვრავს.

სახელმძღვანელო დასაწყისშივე განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს:

საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმსა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, მაგრამ მედია უნდა ეცადოს არ გახდეს ბრმა იარაღი ტერორისტების ხელში და არ გაავრცელოს, ნებსით თუ უნებლიეთ, ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები და აშკარა მოწოდებები;

მსგავსი ტიპის ამბების გადაცემა უნდა მოხდეს სიზუსტის სრული დაცვით და სპეციალური ტერმინებით;

ტერორიზმს რომ არ გააჩნია ეროვნება, რელიგია და წარმომავლობა, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ხაზი არ გაუსვას რეპორტიორმა ამა თუ იმ აქტში მონაწილე ადამიანების ეთნიკურ თუ აღმსარებლობით კუთვნილებას, რაც სტიგმაა და ნეგატივიზმს ამძაფრებს. უფრო მართებული იქნება ანალიტიკოსებისა და სფეროს ექსპერტების ანალიზი, საერთო მოცემულობის ჩვენება, რაც თავად პრობლემის გლობალურ მნიშვნელობასა და ახსნას იძლევა;

ბალანსი აუცილებელია დაიცვას ჟურნალისტმა, რაც გამორიცხავს მაყურებელში ისტერიკისა და პანიკის მიზეზს, ამავდროულად, გადაუჭარბებელი ინფორმაციის მიწოდება უფრო მნიშვნელოვანია აუდიტორიისთვის;

მედიის ვალდებულებაა გამწვავებული სიტუაციის შემთხვევაში გამოირიცხოს რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაცია, პირიქით უფრო მეტი დრო დაუთმოს პირისპირ დარჩენილი ჯგუფების დაზავების შემთხვევაში დადებით ნაბიჯებს, რა სიკეთეები შეიძლება მოუტანონ ერთმანეთს და ა.შ. დაუშვებელია დაყოფა - ,,ჩვენიანები“ და ,,ისინი“, ტონიც გაშუქების დროს უნდა იყოს ნეიტრალური და არა აგრესიული;

არ უნდა დაუშვას რეპორტიორმა რომ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები გამოჩდნენ, როგორც გმირები, ხაზი არ უნდა გაესვას მათ საბრძოლო ტაქტიკასა და თვისებებს, აქაოდა, განსაკუთრებული სუპერ ძალების მქონე მებრძოლები არიან, რადგან მათ შეიძლება მიმბაძველები გამოუჩნდეთ. ამიტომ უნდა ისაუბროს ჟურნალისტმა კრიმინალურ აქტზე, რომელსაც სამართლებრივი ნორმებითა და კანონებით გაამყარებს;

ასევე, არ უნდა მოხდეს საეთერო დროის დათმობა ისეთი შინაარსის ამბებისთვის, სადაც საუბარი იქნება ტერორისტული დაჯგუფების წევრების ცხოვრებაზე, ტრაგედიებზე, ოცნებებსა და მისწრაფებებზე, ისევ იმ საშიშროებით, რომ სიმპატია არ გამოიწვიოს უადგილო პოზიტივმა;

დაუშვებელია ტერორისტული ქმედების, განსაკუთრებით სუიციდის სრული სიზუსტით აღწერა და გადაცემა, რომ არ გაუჩნდეს სურვილი სხვამაც ჩაიდინოს მსგავსი საქციელი;

ასევე, დაუშვებელია ანტიტერორისტული მოქმედებების და სპეცოპერაციების დეტალების გავრცელება, რადგან დიდია ალბათობა ტერორისტულმა დაჯგუფებამ სტრატეგია შეცვალოს, ან ოპერაცია ჩავარდეს;

მაყურებელი ვალდებულია მიიღოს ოფიციალური ინფორმაციები, რომელსაც უნდა აცნობდეს ჟურნალისტი და ასახელებდეს წყაროებს, თუ რას ეყრდნობა მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია;

ნებისმიერი ადამიანის პირადი ცხოვრება სხვა ღირებულებით უფლებებთან ერთად დაცული უნდა იყოს, ასევე უნდა გამოირიცხოს არასწორი ინფორმაციების ტირაჟირება, წინააღმდეგ შემთხვევში, უნდა გამოსწორდეს იმავე მედია საშუალების მიერ და გაკეთდეს აუცილებელი განმარტება აუდიტორიისთვის;

ასევე, რეკომენდირებულია მსგავსი თემების გავრცელების დროს, ვებგვერდებს ჩაერთოს მოდერაციის ფუნქცია, ან პირიქით - გამოერთოს, რომ არ მოხდეს გამწვავებული რადიკალიზმის მიღება;

სახელმძღვანელოში ცალკე ქვეთავია ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, რომელშიც საუბარია რა არის მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტების გაშუქების დროს, რატომ არის აუცილებელი ფაქტების სიმშრალე და ემოციური დატვირთვის სიტყვების სიმწირე. უფრო მეტი კონკრეტიკა თეზისებში ვნახოთ:

,,ტერორისტი", როგორც ტერმინი ძალიან ფრთხილად უნდა გამოიყენოს ტელემედიამ, ისევე როგორც სასურველია არ ითქვას ,,ტერორისტული აქტი", რომელიც შეიძლება შეიცვალოს სხვა სიტყვათა შეთანხმებებით - ,,ცეცხლის გახსნა", ,,თავდამსხმელები", შეიარაღებული პირი", ,,აფეთქება" და ა.შ.

ასევე, აუცილებელია გამარტივებულ ენაზე საუბარი, ადვილი აღსაქმელი რომ იყოს მიწოდებული ინფორმაცია. რეპორტიორმა არასოდეს უნდა თქვას ,,ტერორისტი", რადგან თავისი მნიშვნელობით ყოველთვის პოლიტიკური ქვედინებების მატარებელი ტერმინია და

ურთულესი რეალობაა; თუმცა, არსებობს გამონაკლისი, როცა სიტყვა ,,ტერორისტის“ გამოყენება შეიძლება მაშინ, როცა რომელიმე ციტატაში აქვს რესპონდენტს ნახსენები;

მსგავს სიტუაციაში მხარეებს ყოველთვის აქვთ ის განცდა, რომ ტელემედია ობიექტურობის მაღალ ხარისხს აჩვენებს, ამიტომ ტერმინები - ,,ტერორისტი“, ტერორისტული დაჯგუფება“ და მათი ინტენსიური გამოყენება, რა თქმა უნდა, მედიის მიკერძოებას უსვამს ხაზს;

როცა ძალიან დიდი აფეთქება ხდება, ან ტრაგედია, ყოველთვის არსებობს ეჭვი რომ, შესაძლოა, ეს იყოს ტერორისტული აქტი, თუმცა, მაშინაც კი მედიამ არ უნდა გამოიყენოს ეს ტერმინი, რადგან მაყურებელი თავადაც კარგად შეძლებს მიიღოს იმ ფორმით და იმ სიმძიმით, ტერაქტია ეს თუ არა. სავალდებულოა, რომ რეპორტიორმა მსგავსი სიტუაციის გაშუქების დროს საკუთარ თავს დაუსვას პირველი კითხვები - ვინ იცის რომ ეს მართლა ტერორისტია? იქნებ ჩვენი ვარაუდია მხოლოდ და მეტი არაფერი? ანუ ამ ტერმინის გახმიანებით ვდგებით თუ არა კონკრეტული პოლიტიკური პოზიციის მხარეს?

ქარტია ცალკე გამოყოფს ვიზუალიზაციის ნაწილსაც. კერძოდ, რატომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტელემედიისთვის ემოციით, ტრაგიზმით, ძალადობის ელემენტებით გაჯერებული კადრები, მაშინ როცა უფრო მნიშვნელოვანია ამ კადრების გაშუქებამ არ გამოიწვიოს:

დაჯგუფების წევრების მოთხოვნების და მოწოდებების მასობრივი გავრცელება;

პირადი ცხოვრების შებღალვა, მსხვერპლთა ოჯახის წევრებისთვის ტკივილის მიყენება;

საზოგადოება არ გახდეს მანიპულაციის მსხვერპლი, ამიტომ მოხდეს გადაღებული მასალის რედაქტირება და ისე გაშვება ეთერში;

ძალადობის კადრების გავრცელებით არ უნდა დავარწმუნოთ მოსახლეობა, რომ რასაც ხედავენ ნორმალური და ჩვეულებრივი მოვლენაა;

მოვლენის მეტი დრამატიზირებისთვის ძველი ფოტოებისა და კადრების ,,გაცოცხლება“ ისე, რომ არ გაუკეთდეს მინიშნება რომ ის ,,არქივია“;

დეზინფორმაციის გავრცელება, როცა მასალებს აწვდიან რედაქციას უცხო პირები, ფეისბუქმომხმარებლები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა დაზუსტდეს არსებული ინფორმაციების სინამდვილე, რადგან გამოირიცხოს არასწორი ინფორმაციების გავრცელება.

ქარტიის ბოლო რეკომენდაცია უკვე ბალანსს ეხება, სადაც ის კონკრეტული ჩამონათვალია, როცა მედია ვალდებულია და უნდა შეძლოს მათი გამიჯვნა. კერძოდ:

გამოხატვის თავისუფლება - ტერორიზმის პლატფორმა;

გრაფიკის გავრცელება - შესატყვისი კონტექსტი;

პირადი დამოკიდებულება - მიუკერძოებლობა;

ბაზრის მოთხოვნა - პროფესიული პასუხისმგებლობა;

საზოგადოებრივი წნეხი მოქმედების - სამართლიანი შეზღუდვა მოქმედების;

მოსაზრებათა მრავალფეროვნება - ტერორიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკა;

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ კონკრეტულ თავში მოცემულია ის წესები, რაც დაამტკიცა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭომ, ჯერ კიდევ წლების წინ, ვიდრე საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაცია ჩატარდებოდა. ანუ, სხვა ქვეყნების გამოცდილებით შექმნილმა ე.წ. სტანდარტმა რამდენად იმუშავა წლების შემდეგ, კონკრეტულად კი 2017 წლის 21-22 ნოემბერს, როცა ყველაზე ხანგრძლივი სპეცოპერაცია მიმდინარეობდა, იმ ჟურნალისტებისგან შევიტყობთ, რომლებიც ადგილზე მუშაობდნენ და უწყვეტ რეჟიმში გადასცემდნენ მიმდინარე მოვლენებს.

თავი 5 – 22 ნოემბრის სპეცოპერაცია და ტელეჟურნალისტების მუშაობა

ეს იყო ის დღე, როცა პირადად მიწევდა როგორც ,,მაესტროს“ სპეციალურ კორესპონდენტს მთელი დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მუშაობა. ალბათ, პირველი შემთხვევაც იყო, როცა თითქმის 22-საათიანი სროლებისა და ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ფონზე, არ ვფიქრობდი სტანდარტებსა და საკუთარი თავის გაფრთხილებაზე იმ კოლეგებთან ერთად, რომლებიც მიუხედავად დაძაბული, საშიში და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი გარემოს არსებობისა, ერთმანეთის ჯიბრზე უფრო წინ მივიწევდით, სახურავებსა და კიბის უჯრედებთან ვკალათდებოდით და ვიღებდით ანგარიშმიუცემლად ერთმანეთზე ხილულ და უკეთეს კადრებს.

რა თქმა უნდა, იმ წუთში ვერ ვაანალიზებდით, მაგრამ მოგვიანებით მივხვდით რომ ვარღვევდით ბევრ სტანდარტს, წესს, მითითებას, დადგენილ ნორმასა თუ კანონს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერორიზმის ერთ-ერთი ,,უნებლიე მოკავშირე“ ყოველთვის მედია-საშუალებებია. მიზეზი, რის გამოც ჟურნალისტებმა ,,დაგვიანებული რეაქცია“ გამოვხატეთ იყო ის მოცემულობა, რომ ჩვენს ქვეყანას, განსხვავებით დიდი სახელმწიფოებისგან არ ჰქონია გამოცდილება ტერორისტებთან თუ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ასე ,,ხილული დაპირისპირების“, როცა თითოეული ტყვია და აფეთქება პირდაპირ ეთერში გადაიცემა და მაყურებელი საკუთარი თვალით ხედავს რა ხდება იმ ქალაქში, იმ უბანში, იმ სადარბაზოსა და იმ სახლში, სადაც მე, შენ ან სულაც ჩვენ შეიძლება ვცხოვრობდეთ.

ამიტომ ჩავთვალე მიზანშეწონილად, ჯერ ტერორიზმის გაშუქების სახელმძღვანელოს წესებში მოქცეული სტანდარტები წარმომედგინა და მომდევნო თავში უკვე იმ ჟურნალისტებს გვესაუბრა, რომლებიც ადგილზე ვმუშაობდით და ძალიან გვიან, ან საერთოდ არ გაგვახსენდა ,,ჩაბეჭდილ-ჩაგვირისტებული“ სტანდარტების დაცვა:

ნათია ტრაპაიძე - ჟურნალისტი, ,,რუსთავი 2“ - ,,ქართული ტელემედია საგანგებო სიტუაციებში მუშაობის სტანდარტს ახლა იმუშავებს. ნელ-ნელა ვსწავლობთ, რომ ჩხუბის დროს შუაში არ უნდა იდგე თუ გინდა, რომ კადრიც კარგი გქონდეს და სამსახურშიც უსაფრთხოდ დაბრუნდე. ასევე, თავი შეაფარო რამეს, როცა ისვრიან. მაგალითად, 2008 წლის ომის დროს - აფეთქების ხმაზე სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჟურნალისტები რომ თავშესაფრისკენ გარბოდნენ, ქართველები ხმას მივყვებოდით. მერე ხუმრობდნენ კიდეც, რომ თუ დაბომბილი ადგილის გადაღება უნდოდათ, ქართველებს უნდა გაყოლოდნენ.

ომის მერე ბევრმა ორგანიზაციამ დაიწყო ჩვენზე ,,ზრუნვა". ატარებენ ათასნაირ ტრენინგებს რომ ,,გვასწავლონ " საგანგებო ვითარებაში მუშაობა. მაგრამ, მგონია, რომ ყველაფერი პრაქტიკაა. შეიძლება თეორიულად ათასი წიგნი წაიკითხო, მაგრამ სანამ საკუთარი თვალით არ ნახავ და არ გამოცდი, ვერაფერს ისწავლი. მეც ასე ჩამოვიყალიბე ჩემი სტანდარტი, რომელიც მარტივია - ,,იდექი უსაფრთხოდ და იყურე ყველა მხარეს"! და მთავარი - ,,გახსოვდეს რომ შენ ოპერატორზეც ზრუნავ"!

რაც შეეხება კონკრეტულ თემას - 27 ნოემბრის სპეცოპერაციის გაშუქებისას, ერთი შეხედვით, მედიას შეცდომა არ დაუშვია, რადგან მთავარ მოვალეობას - მაყურებლის ინტერესს აკმაყოფილებდა და აჩვენებდა ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ შინაარს, რაც ამ სპეცოპერაციას ჰქონდა - ანტიტერორისტული, მაშინ შეიძლება ერთი შეცდომის გამოყოფა - როდესაც ერთ კონკრეტულ ადგილზე იცი რომ ტერორისტებს ებრძვიან, მაშინ შენ არ უნდა აჩვენო რა რაოდენობის სამართალდამცველები არიან გარეთ და როგორ არიან განლაგებულები. იმიტომ რომ თუ ისინი ცუდი განზრახვით არიან და შენს ქალაქში რამეს გეგმავენ, მაშინ მათ მოკავშირეები სხვაგანაც ეყოლებათ და შენ მათ აწვდი ინფორმაციას პოლიციაზე, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს.

ისე კი, მაინც მგონია, რომ ყველა ჟურნალისტს თავისი სტანდარტი აქვს, რაც თავისთავად, გამოცდილებასთან ერთად მოდის. დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს - ის, რასაც სახელმძღვანელოებში გვასწავლიდნენ, პრაქტიკაში არ მუშაობს!"

დავით ქაშიაშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2": - ,,რადგან სიტუაცია საგანგებოა და სრულიად უპროგნოზო, რთულია სტანდარტებს სდიო, უფრო მეტიც - შეუძლებელიც. მთავარი რჩევა ნებისმიერი ჟურნალისტისთვის - გადარჩი და ,,ლაივი" არ დატოვო შენს გარეშე, გიყურებს და გისმენს ყველა, ამიტომ მხოლოდ ცოცხალი და თხრობის რეჟიმში სჭირდები. შემელი და გაუძელი სიტუაციას, რომელიც უმართავია და სიცოცხლისთვის საშიში, დაამშვიდე აუდიტორია, ის დამოუკიდებლადაც ხვდება, რომ მძიმეა სიტუაცია.

არ ვიცი, სადმე ამოვიკითხავთ თუ არა, მაგრამ ზუსტად ვიცი, საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს, რომ საგანგებო სიტუაციაში მუშაობისას ტელეჟურნალისტმა არ უნდა დაკარგოს ოპერატორი, რადგან ის მისი ,,თვალებია", არ უნდა დაკარგოს ,,ცოცხალი ეთერის" რეჟიმი, არ დასვას ზედმეტი კითხვები, ხალხს შეფასება არ სთხოვოს, ისინი ყველაზე ბუნებრივები არიან და შეფასებებს ისედაც თავად აკეთებენ. რაც შეეხება სტანდარტებს, ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ჟურნალისტიკას არ აქვს ჩარჩოები, საჭიროა იცოდე ზღვარი და თვითცენზურა".

მარიამ გაფრინდაშვილი - ჟურნალისტი, ,,რუსთავი 2": ,,რაც შეეხება ანტიტერორისტულ სპეცოპერაციას, ესეც პირველი მასშტაბური ოპერაცია იყო, ყოველ შემთხვევაში, მე პირველად მომიწია მსგავსი მასშტაბის გადაღებაზე ყოფნა - საუბარი იყო იმის შესახებ, რომ საქართველოში იმყოფებოდა იმ დროის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ტერორისტი ახმედ ჩატაევი და მიმდინარეობდა მისი და თანამზრახველების დაკავების ოპერაცია. აი, ამ

შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ მედიამ დაარღვია თითქმის ყველა სტანდარტი, რაც კი არსებობს. ამას ხელი შეუწყო, ალბათ, ჩევნმა გამოუცდელობამ და კიდევ ძალოვანი უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოუცდელობამაც, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ არ გვქონდა ოფიციალური განმარტებები, მხოლოდ სხვადასხვა ინფორმაციები ჟონავდა, რაც, თავისთავად, შეცდომებს არ გამორიცხავდა.

რაც შეეხება თავად შემთხვევის ადგილზე მუშაობას. ვფიქრობ, როცა ხარ ახალი ამბების ჟურნალისტი და ხარ გადაღებაზე, უნდა გადაიღო ყველა კადრი და აჩვენო. აი, აქ იყო დავა იმ საკითხზე უნდა გვეჩვენებინა თუ არა ყველაფერი. არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ მე ისევ რომ მომიწიოს მსგავს სიტუაციაში ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ დაირღვა სტანდარტი, მე ისევ გადავიღებ და ვაჩვენებ. უბრალოდ, აქ შეცდომა მედიამ კი არა, ძალოვანი უწყების იმ რგოლმა დაუშვა, რომელსაც კოორდინირება უნდა მოეხდინა მედიასთან ურთიერთობაში და ჰქონოდათ გამუდმებული კომუნიკაცია. ბუნებრივია, მსგავს მოქმედებას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, ჩვენ ვმოქმედებდით ჩვენი შეხედულებებით. ვერ გაიხსენებს ვერც ერთი ჟურნალისტი, რომ გვქონდა მითითება, ან კონკრეტულმა უწყებამ გაგვაფრთხილა რომ მსგავსი გადაღებები, თან უწყვეტ რეჟიმში ამის გადაცემა იყო საფრთხის შემცველი და ვარღვევდით კანონს.

დღესაც ვფიქრობ, რომ ჟურნალისტმა უნდა გადაიღოს ასეთი კადრები, მაგრამ პირდაპირ ეთერში რამდენად უნდა გადაიცეს, სადავოა, მაგრამ ეს უფრო ძალოვანი უწყების პასუხისმგებლობაა, რომელმაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში დატოვა, ანუ სადავეები უნებლიედ მისცა ტელემედიას, რომელსაც სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ საზოგადოების მაღალი ინტერესი დაეკმაყოფილებინა უწყვეტი ეთერით. და ასეც მოხდა, უფრო მეტიც - რეალურად ამ დროს იმდენად არ ვრცელდებოდა ოფიციალური განცხადებები, მედიის თავგანწირვის ფასად იღებდა მოსახლეობა ყველა შესაძლო ინფორმაციას. ამიტომ მიმაჩნია, რომ მეტი პასუხისმგებლობა იყო საჭირო სახელმწიფო სამსახურების მხრიდან.

რაც შეეხება სტანდარტულ რეკომენდაციებს მსგავს სიტუაციებში მუშაობის დროს, ჩემი პირველი წესი გადაღებისას არის სიმშვიდის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ემოციური ადამიანი ვარ, ყოველთვის ვცდილობ დავიცვა ეს წესი - არც მე ჩავვარდე პანიკაში და არც მაყურებელი ჩავაგდო, რადგან ის ჩემში და იმ ინფორმაციების მიღებაში ხედავს რეალობას და ფიქრობს გამოსავალზე, რომელიც აუცილებლად მშვიდობიანად უნდა დასრულდეს ყველასთვის“.

ანუნა ახალაია - ჟურნალისტი, ,,ტვ პირველი“ - ,,22 ნოემბრის, ანუ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია ჩემთვის დიდი გაკვეთილი და გამოცდილება იყო, რადგან ჩვენს ქვეყანაშიც იშვიათად ხდება მსგავსი მასშტაბის სპეცოპერაცია და მეც ამ მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება არ მაქვს. მარტივი არ იყო მუშაობა, მაგრამ იყო საინტერესო. შეცდომების ნაწილში, ალბათ მაინც ჩავთვლიდი იმას, რა შენიშვნაც მივიღეთ იმ დღეს მომუშავე ჟურნალისტებმა იურისტებისგან და სხვადასხვა სადამკვირვებლო

ორგანიზაციებისგან. ტელეჟურნალისტები გაგვაკრიტიკეს იმის გამო, რომ პირდაპირ ეთერში ვაძლევდით კადრს თუ როგორ გადაადგილდებოდა და რა მარშრუტი ჰქონდა სპეცრაზმს, რაც როგორც შემდეგ გავარკვიეთ უფრო ართულებდა სპეცოპერაციას, რადგან პირებს ვისი დაკავებაც იგეგმებოდა, შეეძლოთ ამ ინფორმაციაზე წვდომა ჰქონოდათ.

მნიშვნელობა არ აქვს სიტუაცია საგანგებო იქნება თუ ჩვეულებრივი მოვლენითი, სტანდარტები მაინც ინდივიდუალურია, თითოეული ჟურნალისტი საკუთარ სტანდარტს დებს და ასე ვთქვათ ხელწერას მიყვება. მე პირადად, მორალურ სტანდარტებს ვაღიარებ და ვიცი, რომ ეს სტანდარტები არ უნდა გასცდეს ადეკვატურობის და პროფესიონალიზმის ფარგლებს. ისე, ცნობისთვის, არც ქართული, არც ამერიკული და არც ევროპული ჟურნალისტიკა სახელმძღვანელოებში არ ისწავლება. შეიძლება ბევრი ინფორმაცია მივიღოთ და წავიკითხოთ იმაზე, რა შეიძლება და არ შეიძლება ჟურნალისტისთვის, მაგრამ მთავარი რაც შექმნის მუშაობის სტანდარტს - ეს არის გამოცდილება და პრაქტიკა. სწორედ პრაქტიკა აყალიბებს და ქმნის ყველა ქვეყანაში მედიის სტანდარტს“.

ვასილ დაბრუნდაშვილი - ჟურნალისტი, ტელეკომპანია ,,იმედი“ - ,,მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ტელემედიამ ,,სალოსის სპეცოპერაციის“ დროს საკმაოდ უხეში შეცდომები დაუშვა, არ დაემორჩილა ბევრ შემთხვევაში სამართალდამცავების მითითებებს, პირიქით, ცდილობდა მათი გვერდის ავლით მისულიყო ყველაზე ცხელ წერტილამდე, სადაც ტერორისტები იყვნენ გამაგრებულნი, ვფიქრობ, არც ისეთი უპატიებელი შეცდომა დაგვიშვია რომ ან სამართალდამცველები დაგვეყენებინა საფრთხის ქვეშ, ან საკუთარი გუნდი.

უბრალოდ, როცა მსგავს სიტუაციაში ხვდები, შინაგანად, რა თქმა უნდა, იცი და ეთანხმები იმ აღიარებულ სტანდარტებს რომ აუცილებელია დაემორჩილო ძალოვანი უწყების მითითებებს, არ გადაკვეთო ლენტი კადრისთვის, რაც არ უნდა საინტერესო რამ გეგულებოდეს შიგნით, არ აჰყვე პანიკას და შესაბამისად, სიმშვიდე არ დაურღვიო მაყურებელსაც... მაგრამ... ეს ყველაფერი იცი, რეალურ მომენტში კი, თუ ჟურნალისტურ პროდუქტს დასჭირდა მითითებების დამრღვევიც ხარ, კადრისთვისაც ყველას და ყველაფერს ჩამოიტოვებ. ნუ, არ ვამბობ იმას, რომ ცეცხლის ალში უნდა შევარდე, ან ტყვიების ზუზუნში, რადგან შეიძლება მერე ვერასდროს ვერაფერი აჩვენო მაყურებელს. ასე, რომ თეორიულად ეს ყველაფერი ზედმიწევნით ვიცით, აი, პრაქტიკაში მაინც სხვაგვარად ხდება“.

შორენა ხვიჩია - ჟურნალისტი, ტელეკომპანია ,,იმედი“ - ,,შეცდომა, რომელიც დაუშვა თითქმის ყველა მედიასაშუალებამ, იყო ის რომ სპეცოპერაციის მიმდინარეობას და სამართალდამცველების გადაადგილებას პირდაპირი ეთერის რეჟიმით უჩვენებდა, რაც შესაძლო დამნაშავეებისთვის, ალბათ იქნებოდა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ინფორმაცია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამის აკრძალვის განცხადება სპეცოპერაციის დაწყებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში შს სამინისტროს არ გაუკეთებია. ცალსახა მითითება - შეგვეწყვიტა, ან დაგვიანებით გაგვეშვა კადრები რომ ,,ჩასაფრებულ პირებს“ იმაზე მეტი ინფორმაცია არ ჰქონოდათ, ვიდრე საჭირო იყო, უბრალოდ არ ყოფილა. მას

შემდეგ გამახვილდა ამ უხეშ დარღვევაზე ყურადღება, რაც არასამთავრობო სექტორმა და სოციალურმა მედიამ მიუთითეს ჟურნალისტებსა და ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს. რა თქმა უნდა, ყველა მიხვდა რომ სტანდარტი დაირღვა და მსგავსი პირდაპირი რეჟიმით ,,კონკრეტული სტრატეგიების“ გაშუქება აღარ მომხდარა.

მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანი და თვალშისაცემი შეცდომა იყო - უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ხშირად მედიასაშუალებების წარმომადგენლები ტერორისტებად მოიხსენიებდნენ ადამიანებს, რომელთა ზუსტი ვინაობაც კი არ იცოდნენ. არადა ყველამ ვიცით, რომ ადამიანი უდანაშაულოა, სანამ მას სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოუტანს. ერთიცაა, მედია ვცდილობთ პრაქტიკაში გამოვიყენოთ სტანდარტები, აუცილებელი რეკომენდაციებიც გავითვალისწინოთ, მაგრამ ნაკლებად გამოგვდის. თუმცა ისიც დამაიმედებელია, რომ ყოველ ჯერზე, როცა ისევ გვიწევს საგანგებო სიტუაციაში მუშაობა, წინა შემთხვევებზე ნაკლებ შეცდომებს ვუშვებთ და ნელ-ნელა ვიზრდებით“.

თეონა მანაგაძე - ჟურნალისტი, ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ - ,,საგანგებო სიტუაციის დროს უმთავრესი პირობაა, მედიამ არ გამოიწვიოს ქაოსი, პანიკა და უპირველეს ყოვლისა, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უნდა გააფრთხილოს მოსახლეობა და დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს. ამასთანავე, მედია უნდა მიჰყვეს ფაქტებს, აღწეროს მოვლენები და არ უნდა მოახდინოს პროცესების ინტერპრეტირება. ანუ, საკუთარი წარმოსახვით არ უნდა შეაფასოს პროცესები, უნდა დაეყრდნოს მხოლოდ მტკიცებულებებს - რასაც ხედავს, ესმის ან აწვდიან ინფორმაციას. ჩემი ხედვით, მაგალითად, თუ ქალაქში წყალდიდობაა და არ არის ინფორმაცია, რა ხდება, სჯობს, ჯერ გაერკვეს ჟურნალისტი რა ხდება, რა მოხდა და შემდეგ ჩაერთოს, ვიდრე ჩაერთოს, ტყუილი თქვას, პანიკა გამოიწვიოს და მოსახლეობაში ქაოსი შექმნას“.

5.1 - დაშვებული შეცდომები და რეკომენდაციები

21-22 ნოემბერს, საქართველოში მცხოვრები ადამიანები პირდაპირი ეთერით თვალს ადევნებდნენ სპეცოპერაციას გაბრიელ სალოსის ქუჩაზე. სროლა, აფეთქებები, კვამლი, დაღუპული და დაჭრილი ადამიანები, ევაკუირება და ბრძანება გადაადგილების შეზღუდვების შესახებ – მაშინდელი დღის აღწერა ერთი წინადადებით ასეთია. თუმცა, ერთია, რას ხედავდნენ მოქალაქეები ტელეეკრანებიდან და თვითმხილველების მიერ გავრცელებული ვიდეო–კადრებიდან და მეორე ის, თუ რა განმარტება და კვალიფიკაცია მისცეს მას ოფიციალურმა პირებმა.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისნის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც დაიღუპა ერთი საქართველოს მოქალაქე, სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომელი და დაიჭრა მისი ოთხი კოლეგა. ასევე ცნობილია, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან, სადაც სოლიდური რაოდენობის იარაღი იყო თავმოყრილი (თუმცა, დაზუსტებით უცნობია, ამ განსაზღვრებაში რამდენი იგულისხმება), გაიხსნა ცეცხლი და სროლა თითქმის 20 საათის განმავლობაში გაგრძელდა. გარდაიცვალა დანაშაულებრივი დაჯგუფების სამი წევრი, დაკავებულია ერთი. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაკავებული პირი სპეცოპერაციის დაწყებამდე აიყვანეს და რომ ის რუსეთის მოქალაქე იყო.

რა მოხდა რეალურად თბილისში, რა კვალიფიკაცია აქვს საქმეს, რამდენად იყო ეს ყველაფერი კავშირში ტერორიზმთან, უფრო სხვა მიმართულების კითხვებია. ჩვენთვის საინტერესოა, რა არ იცოდა მედიამ, როგორ იმუშავა, რაზე ამახვილებდნენ ექსპერტები იმ დროს ყურადღებას და რატომ თვლიან რომ ქართულ მედიას საგანგებო სიტუაციებში მუშაობა უჭირს?!

ნაშრომის ამ თავში შევეცადე შეფასებების რეზიუმე მკაფიო და გასაგები ყოფილიყო:

როდესაც ისეთი ამბავი ხდება, როგორიც 21 აპრილს პანკისში დაპირისპირება, 2017 წლის 22 ნოემბერს ბერი სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაცია თუ 13 ივნისს თბილისში მომხდარი წყალდიდობა იყო, საზოგადოებას ინფორმაცია სჭირდება. ჟურნალისტებიც ცდილობენ მომხდართან დაკავშირებით რაც შეიძლება მეტი დეტალი მოიძიონ ყველა შესაძლო ხერხით. შევლენ ყველგან, სადაც შეუშვებენ, ჩაწერენ ყველას, ვინც გამოჩნდება იქნება ეს ადგილობრივი მოსახლე თუ საჯარო პირი. შეეცდებიან განიხილონ ყველა ვერსია, თავად ჩაატარონ გამოძიება და აუდიტორიას ინფორმაცია მიაწოდონ, რადგან იმ დროს ყველა სხვა თემაზე მომზადებული ამბავი არალერევანტურად ჩანს. ვერ გაუშვებენ ეთერში მხატვრულ ფილმს ბედნიერ ცხოვრებაზე, სერიალს ოჯახურ დრამაზე თუ რამე გასართობ გადაცემას, მაშინ, როდესაც ერთ-ერთ რეგიონში მოსახლეობა და სპეცრაზმი ერთმანეთს ურტყამს, ანდა შუა ქალაქში სპეცოპერაცია ღამის მთელი დღე ტარდება. ეს ხდება არა იმიტომ, რომ ჟურნალისტებს უხარიათ უწყვეტად ეთერში ყოფნა, ან სტატიების მომზადება, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოება იყოს დროულად ინფორმირებული.

კრიზისული ვითარებისას დაზუსტებული ინფორმაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მიღებულმა ინფორმაციას შეიძლება მყისიერად შეცვალოს ადამიანის ქცევა. მაგალითად, დატოვოს საცხოვრებელი ადგილი, გაიაროს ქუჩაზე, რომელიც უსაფრთხო ჰგონია, ან პირიქით, არაფერი გააკეთოს იმის იმედით, რომ ამბავი მას არ შეეხება. აღარაფერს ვამბობ პანიკის დათესვასა და მასების მობილიზებაზე. ამ დაზუსტებულ ინფორმაციას ჟურნალისტი შესაბამისი უწყებებიდან უნდა იღებდეს. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს საკომუნიკაციო სტრატეგია თუ როდის, რა ფორმით აწვდის მედიას ინფორმაციას.

ბოლო პერიოდში მსოფლიო მედიას არაერთი კრიზისული სიტუაციის, ტერორისტული აქტის თუ სხვა ტიპის ოპერაციების გაშუქების დიდი გამოცდილება დაუგროვდა. ძალიან მარტივი სანახავია, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში ოფიციალურ უწყებებს გამოყოფილი ჰყავთ პირი, რომელიც მედიას აქტიურად აწვდის ინფორმაციას თუ რას და როგორ აპირებს ხელისუფლება, რა დაზუსტებული ცნობები აქვთ მომხდარის შესახებ, აკეთებენ განმარტებებს, აწვდიან ინსტრუქციას მედიას სამუშაო არეალის შესახებ, რათა არ შევიდნენ იქ, სადაც უსაფრთხო არ არის მათთვის და ამასთან, ხელი არ შეუშალონ ოპერაციის მიმდინარეობას. იქ, მედიასთან ურთიერთობა სამუშაოს ნაწილია, ჩვენთან მინისტრზე გაკიდებულ ჟურნალისტს აქეთ ამადლიან რამდენიმეწამიან კომენტარს.

მაღალი საჯარო ინტერესის მქონე ამბისას, ჟურნალისტების საინფორმაციო ვაკუუმში დატოვება ხელს უწყობს დაუზუსტებელი ცნობების, ვერსიების, ვარაუდების, სპეკულაციების გავრცელებას. როდესაც რელევანტური რესპონდენტი არ ჩანს, ჟურნალისტი იძულებულია, მას დაუსვას კითხვა, ვინც შემოხვდება, შედეგად მაგალითად, კრიმინალურ თემაზე შეიძლება მოვისმინოთ განათლების, ან გარემოს დაცვის მინისტრის, დეპუტატის, ოპოზიციის თუ მავანის მოსაზრებები, რომელთაც ფაქტობრივი ინფორმაცია არ აქვთ. მერე ჟურნალისტებს აკრიტიკებენ დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების გამო, ერთი და იმავე ცნობების გამეორების თუ ისეთი კადრების გამოქვეყნებისთვის, რაც აუდიტორიის აზრით, ოპერაციის მიმდინარეობას ხელს უშლიდა.

მნიშვნელოვანია ტერორიზმს, როგორც საფრთხეს, რამდენად პასუხისმგებლობით უდგება, ზოგადად, საზოგადოება და მედია. მნიშვნელოვანია, გაცნობიერებული იყოს საზოგადოების მხრიდან, ზოგადად, ტერორიზმი, როგორც საფრთხე და მეორეს მხრივ, მედიას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა კონკრეტული ტერორისტული აქტების გაშუქების და, ზოგადად, ტერორიზმის, როგორც საფრთხის აღქმის პროცესში.

გაბრიელ სალოსის გამზირზე მიმდინარე ოპერაციებმა და 2018 წელმაც აჩვენა, რომ მთლიანად საქართველოს საზოგადოებაში და არც მედიაში ტერორიზმი, როგორც საფრთხე არ აღიქმება იმგვარად, რომელიც მათ აიძულებდა, რომ ჯერ მათი მოქალაქეობრივი პოზიცია დაეყენებინათ წინა პლანზე და შემდეგ უკვე პროფესიული ინტერესი. აშშ-ში, ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში არ ჩნდება კითხვის ნიშანი, როდესაც საქმე ტერორიზმის საკითხების გაშუქებას ეხება, რა არის პრიორიტეტული მათთვის - მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თუ პროფესიული ინტერესები.

თავი 6 - ტელემედიის წარმომადგენლების შეფასება

გიორგი ცხვიტავა, მედიის ანალიტიკოსი თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში: ,, - დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველო ჩართულია სხვადასხვა ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებებში, იქნებოდა ეს სამოქალაქო დაპირისპირება, თუ ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლები. ქართველი რეპორტიორები მუშაობდნენ ცხინვალის რეგიონსა თუ აფხაზეთში ველზე, მათ შორის, საერთაშორისო მედიისთვისაც. ასევე, ქართველი ჟურნალისტების ამზადებდნენ რეპორტაჟებს ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომიდან, გალის 1998 წლის მოვლენებიდან, 90-იანი წლების ბოლოს ჩეჩენი ლტოლვილების მიღებისა და პანკისის ხეობაში განთავსების, სასაზღვრო ინციდენტების, კოდორისა და პანკისის ხეობებში არსებული მდგომარეობის, 2004 წლის ცხინვალის და შემდეგ 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების შესახებ. ამ პერიოდში მედია, პრაქტიკულად, შეუზღუდავად მუშაობდა და რეპორტაჟები მზადდებოდა თითქმის ყველა ცხელი წერტილიდან. ამასთან ერთად, უსაფრთხოებისა და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის მშენებლობის სფეროში მედია საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა სამხედრო უწყებასთან. ამას დაემატა საქართველოს სამხედრო მისიები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როგორც ნატოს ეგიდით, ასევე კოალიციური ძალების შემადგენლობაში.

2000 -იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსული სამხედრო ბაზებისა და ობიექტების გაყვანის პროცესის აღწერას ქართულ მედიაში. ამ დროს, თავდაცვის სამინისტრო ხელს უწყობდა მედიას გაშუქებაში. რუსული სასაზღვრო ჯარების გაყვანის, სამხედრო ნაწილების გადმოცემის, რუსი მესაზღვრეების მიერ განზრახ დაზიანებული და განადგურებული ინფრასტრუქტურის ვიდეო და ფოტო მასალა, პრაქტიკულად, ყველა მედია საშუალებამ გააშუქა საქართველოში, ხოლო საერთაშორისო სააგენტოების საშუალებით გადაიგზავნა დასავლეთშიც. ისევე როგორც, 1999 წელს სტამბოლში ეუთოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების იმპლემენტაციის პროცესი, რომელიც ეხებოდა 2007 წლამდე რუსული სამხედრო ტექნიკის გაყვანას საქართველოდან. გაშუქდა საქართველოს მსხვილი ქალაქებიდან.

უსაფრთხოების და, კონკრეტულად, თავდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენები ხშირად ხვდებოდა და ხვდება საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში, როდესაც ეს ეხება როგორც კონფლიქტის ზონაში განვითარებულ საბრძოლო მოქმედებებს, ასევე, საერთაშორისო სამხედრო სწავლებებს, ნატოს მისიებში ქვედანაყოფების გაგზავნას, ახალი შეიარაღების მიღებას და ა.შ.

ეს აუცილებელი შესავლისთვის, რომ კიდევ უფრო კარგად გავიაზროთ ის თემა, რომელზეც ახლა მომიწევს საუბარი - სამწუხაროდ, საქართველოს მედია კომპანიებზე მომუშავე ჟურნალისტების უმრავლესობას, საკუთარი რისკისა და ჯანმრთელობის (სიცოცხლის) ფასად უწევს ექსტრემალური ვითარების გაშუქება. საკმაოდ მცირე რაოდენობას აქვს შესაბამისი გადამზადება გავლილი და საგანგებო ვითარებაში მუშაობის უნარები გამომუშავებული. ასევე, ძალიან ცოტამ თუ იცის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რაც

სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერ ველზე მუშაობისას. მიმართულებების არევამ თანმდევი ხარვეზები გამოიწვია.

დასავლური მედიისგან განსხვავებით, როდესაც მივლინებამდე სპეციალურ გადამზადებას გადის რეპორტიორი, ან რეპორტიორთა ჯგუფი, საქართველოში მეტწილად ყველაფერი სპონტანურად ხდება და როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მეტწილად მხოლოდ გარკვეული რჩევების გაცემა/მიღებით შემოიფარგლება. თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ჩატარდა რამდენიმე სწავლება მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით, თუმცა ეს ზღვაში წვეთია. რამდენიმე რეპორტიორმა ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუშაობისას. მაგალითისთვის, კიევში მაედნის მოვლენებისას და შემდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას. ასევე, კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მედია კომპანიები მეტად უნდა დაიხარჯონ საკუთარი რეპორტიორების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და, პირველ რიგში, შესაბამის კურსებზე გაუშვან ჟურნალისტები. თავის მხრივ, კორესპონდენტებმაც მეტი უნდა იმუშაონ კვალიფიკაციის ამაღლებისთვის და შესძლონ სანდო და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მაყურებლისთვის/მსმენელისთვის თუ მკითხველისთვის შემთხვევის ადგილიდან.

აუცილებელია ითქვას, რომ სტიქიური უბედურებების გაშუქება არანაკლები რისკის შემცველია, ვიდრე საბრძოლო მოქმედებები, ან მიტინგების დაშლა. 13 ივნისის შემთხვევაში პირველი ცნობები მოქალაქე რეპორტიორებისგან მიიღო საზოგადოებამ სოციალური ქსელების საშუალებით. ამ კრიზისის განხილვისას პირველ რიგში სახელმწიფო სტრუქტურების კომპეტენციის საკითხები გამოვლინდა და არც თუ დადებით ჭრილში. რაც შეეხება მედიას, აქ რეპორტიორებმა იმუშავეს თავდაუზოგავად (ისევე როგორც სხვა შემთხვევებში).

მედიამ, ასევე ოპერატიული მობილიზება გააკეთება ანტიტერორისტული ოპერაციის დროს, როდესაც მართლაც საგანგებო და საშიშ სიტუაციაში უწევდა ნებისმიერ რეპორტიორს პროფესიული მოვალეობის შესრულება. პრაქტიკულად, უწყვეტი ,,ლაივის“ რეჟიმში იმუშავა სალოსზე ჩატარებული ოპერაციისას ტელემედიამ. აქაც, ძირითადად, უსაფრთხოების ძალების კომპეტენციაზე შეიძლება მეტი აქცენტის გაკეთება , ვიდრე ჟურნალისტების. რეპორტიორებმა იმუშავეს ყველგან, სადაც შესაძლებელი იყო.

წლების გადმოსახედიდან თუ ვიტყვით, ქართული მედია ბევრად გაზრდილია, ვიდრე ოცი, ან ათი წლის წინ. თუმცა, კვალიფიკაციის ამაღლება და უსაფრთხოების საკითხების უგულვებელყოფა კვლავაც გამოწვევად რჩება, ისევე როგორც სტანდარტების იგნორირება, ან სულაც წესების დარღვევა“.

გიორგი ფუტკარაძე - ,,მედია აკადემიის“ დირექტორი: ,,სტანდარტი არის მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ტელემედიამ უნდა იცოდეს არ შეუწყოს ხელი ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც საზოგადოებას არეულობისკენ უბიძგებს და ასეთი მოწოდებები არ გააჟღეროს, ასევე ჟურნალისტების კეთილგანწყობები, ან პირიქით - არაკეთილგანწყობა

კონკრეტული ღონისძიების გაშუქებისას არ უნდა იყოს ასახული ჟურნალისტურ პროდუქტში. ასევე, მიუღებელია რესპონდენტს სთხოვოს ჟურნალისტმა გაიმეოროს ის ქმედება, რომლის გადაღებაც ვერ მოასწრო, ან გადასცეს ისეთი სახით ინფორმაცია, რომელიც არაა დაზუსტებული. იცნობენ თუ არა მედიაში, ციფრებით საუბარი რთულია, თუმცა, ნაწილი ზოგადად ამ სტანდარტს იცნობს და იცავს, ნაწილი იცნობს და არ იცავს. ზედაპირული დაკვირვებით, რა ინფორმაციასაც მე ვფლობ, უფრო ნაკლები იცნობს ამ სტანდარტს.

რაც შეეხება კონკრეტულად ,,13 ივნისის“ და ,,22 ნოემბრის“ ქეისებს, ზოგადად, ორივე არის კარგი მასალა, რომ მედიამ შეცდომებზე იმუშაოს, თუმცა, ორივე ერთმანეთისგან არის რადიკალურად განსხვავებული და, ალბათ, ამიტომ იქნება საინტერესო ეს თემა. თან, როცა პრაქტიკოს ჟურნალისტებს მოუწევთ როგორც კოლეგების, ასევე პირველ რიგში საკუთარი შეცდომების ჯერ აღიარება, შემდეგ კი გაანალიზება.

თუ ავიღებთ ,,13 ივნისს“, პირველ რიგში, პრობლემა იყო, რომ მაუწყებლების უმრავლესობა მოუმზადებელი შეხვდა ასეთი მასშტაბის სტიქიურ კატასტროფას და ეს აისახა კიდეც ეთერში შესვლის დროზე. მეორე მხრივ, ასევე პრობლემატური იყო ჟურნალისტების უსაფრთხოების საკითხი, მათ არ ჰქონდათ სპეციალური აღჭურვილობა, რომელიც ასეთ დროს აუცილებელია, ელემენტარული საწვიმრების და ბოტების მაგალითიც კმარა. პლუს ინფორმაციული ვაკუუმი, მაყურებელი სტიქიის მასშტაბის შესახებ, დილამდე ნაკლებად ინფორმირებული იყო, თუმცა , ეს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების დამსახურებაცაა. ასეთი მოვლენის გაშუქება ხდება ქაოტურად, თუ გავითვალისწინებთ წამყვანი ამერიკული არხების გამოცდილებას, რომლებიც ზუსტად უთითებენ პერიმეტრს, სადაც მოვლენა ხდება, უფრო ოპერატიულები არიან ინფორმაციის გადაცემის თვალსაზრისით და სიზუსტესაც იცავენ, ქართული ტელემედიის ნაწილმა ეს ფუნქცია, ნამდვილად, ვერ შეასრულა. მეორეს მხრივ სიცოცხლის რისკის ფასად გადაღებული მასალები, იყო ნამდვილად შთამბეჭდავი, თუმცა, ხარვეზები გამომდინარეობდა ერთის მხრივ ჟურნალისტების მოუმზადებლობით, მეორეს მხრივ, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების დაბნეულობით, რამაც პირველივე საათებში მედია პროდუქტზეც ჰპოვა ასახვა.

რაც შეეხება მეორე ქეისს, როგორიც არის ტერორისტული ოპერაცია სალოსის ქუჩაზე, აქ, მთელი რიგი შეცდომები იქნა დაშვებული. მათ შორის, ჟურნალისტებს ჰქონდათ საშუალება აკრძალულ ტერიტორიებზე შესულიყვნენ (ეს შესაბამისი სტრუქტურის მოუმზადებლობის პრობლემაა), პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ანტიტერორისტული ოპერაცია, რაც ჟურნალისტური შეცდომაა და ტერორისტებს აძლევდა საშუალებას თუ მათ მედიაზე ხელმისაწვდომობა ჰქონდათ, ენახათ სად იყვნენ სპეცრაზმელები, რაც ქმნიდა იმის რისკს, რომ თუკი არსებობდნენ სხვა ტერორისტები კონკრეტული ლოკაციის გარეთ, მათ შეეძლოთ დახმარებოდნენ. პლუს პანიკას ამძაფრებდა ისიც, რომ დაახლოებით 22 საათი მიმდინარეობდა და თითქმის არ იყო კოორდინაცია მედიასა და ძალოვნებს შორის, რაც ხელს უწყობდა ისეთი ინფორმაციების გაჟონვას, რომელსაც შეეძლო არამხოლოდ პანიკური ეფექტი გამოეწვია ადგილობრივ მაცხოვრებლებში, არამედ ტერორისტებს ჰქონდათ საშუალება ამ ინფორმაციებით ემოქმედათ (რომელი სადარბაზოს დაცლა მიმდინარეობდა, სად იყო ხალხი,

სად იყვნენ სპეცრაზმელები და ა. შ.) ცხადია, ეს შეუთანხმებელი ქმედებები იყო ერთის მხრივ ძალოვანი უწყებების პასუხისმგებლობა, მეორეს მხრივ კი მედიამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რას უშვებს და რა ფორმით. ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული შიდა რეგულაციები, რომელიც მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს თუნდაც აქციის გაშუქების სტანდარტისგან“.

რატი მუჯირი ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“ - სამხედრო ჟურნალისტი : ,,საგანგებო სიტუაციებში მუშაობა და გაშუქება ტელემედიისგან სპეციფიკურ ცოდნას და უნარებს საჭიროებს. არსებობს უამრავი კურსი და საგანი, სადაც ეს ყველაფერი ისწავლება. ქართველი ტელეჟურნალისტების უმრავლესობა, მათ შორის მეც, ან პრაქტიკაში ვსწავლობდით ამ უნარებს, ან ფაქტების შემდეგ გავდიოდით გადამზადებას.

უსაფრთხოება - ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რისი დაცვაც აუცილებელია. როგორც წესი, სწორად ეს ნაწილი ავიწყდება ყველას, როცა ყველაზე მეტად არის საჭირო. **სიმშვიდე** - ეს არის მდგომარეობა, რაც აუცილებელია ტელერეპორტიორისთვის, როცა საქმე საგანგებო მდგომარეობის გაშუქებას ეხება. ისედაც მძიმე სიტუაციის დროს, არ არის საჭირო ემოციებზე აგებული თხრობა. **მიუკერძოებლობა** - თანამედროვე ჟურნალისტიკაში, არა მხოლოდ საქართველოში, რთულია იპოვო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა. სარედაქციო პოლიტიკა ყველა მედია ორგანიზაციას გააჩნია და ხშირად პოლიტიკას მფლობელი განაპირობებს. ეს ნორმალური მოვლენა და ტენდენციაა. მიუხედავად ამისა, საგანგებო მდგომარეობის გაშუქებისას მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა დაიცვას ეს სტანდარტი და მაყურებლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს. ჩემი აზრით, ეს სამკუთხედია კრიზისების გაშუქების ქვაკუთხედი. მნიშვნელოვანია ეს გავიაზროთ და გავითვალისწინოთ ჟურნალისტებმა.

ახლა კი, კონკრეტულად გავყვეთ მოცემულ ქეისებს და ტელემედიის მუშაობის სტანდარტებს. დავიწყოთ 13 ივნისით – მოვლენები გვიან საღამოს დაიწყო და განვითარების პიკი გამთენიისას იყო. კიდევ ერთხელ ვნახეთ, რომ სამამულო ჟურნალისტიკა, ზუსტად ისევე როგორც ხელისუფლება, მოუმზადებელი შეხვდა კრიზისს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტიკამ უფრო ეფექტურად მოახერხა თვითმობილიზება და გადალაგდა ეფექტურ გაშუქებაზე, ვიდრე ეს შეძლო ხელისუფლებამ. როგორც წესი, ჟურნალისტებისთვის მთავარი გამოწვევა და პრობლემა სპეციალური აღჭურვილობის არ ქონაა. შესაბამისად, ეს ქმნის ყველა სხვა პრობლემას. 13 ივნისს, ჩვენ ვნახეთ სრულიად დაუცველი ჟურნალისტები. ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტებს, საქართველოში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უწევთ მუშაობა. ეს დაუშვებელი და მიუღებელია. რედაქციების მსგავსი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ჟურნალისტებს ჰეროიკული ქმედებებისკენ უბიძგებს, რაც თავის მხრივ ასევე შეცდომა მგონია.

თუ ჟურნალისტი არ არის ეკიპირებული საჭირო ამუნიციით, დიდია შანსი ის დაშავდეს, როდესაც ამ რისკის ფასად მუშაობ, გიჩნდება ცდუნება გმირობის ხაზზე გაიარო და როდესაც „მოსახდენი ხდება“, ამის შემდეგ იწყება „გმირის საათი“. ერთის მხრივ, ბუნებრივია, როდესაც

ადამიანი, იქნება ეს ჟურნალისტი თუ არა, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად საქმეს აკეთებს, ეს განსაკუთრებით დასაფასებელია, მაგრამ აქ გვავიწყდება ერთი გარემოება. ჟურნალისტის პირდაპირი საქმეა მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს. შესაბამისად, თუ ჟურნალისტი (ან რედაქცია) ირჩევს გააშუქოს კრიზისი, ეს ნიშნავს რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მომხმარებელს კრიზისიდან. ამიტომ აქ, „განსაკუთრებული“ და „საგმირო“ არც არაფერია. ამიტომ უმჯობესია სათანადოდ აღჭურვილებმა, გმირობის გარეშე შევასრულოთ მოვალეობა.

რაც შეეხება სპეცოპერაციას სალოსის ქუჩაზე, თითქმის 24 საათის განმავლობაში მაყურებელმა პირდაპირ ეთერში ნახა სპეცოპერაციის მიმდინარეობა. ამ დღეს, ჟურნალისტებმა საკმაოდ მაღალი ხარისხის თვითმობილიზება აჩვენეს, თუმცა, ცხადია, უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, აქაც სახეზე იყო. უსაფრთხოების ზონის დაყენება მსგავსი სპეც-ოპერაციების დროს სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების ვალდებულებაა და შესაბამისი ზონის გამოყოფაც აუცილებელია. თუ მსგავსი არაფერი ხდება, მაშინ რთულია ჟურნალისტის მოსთხოვო არ შევიდეს, არ ავიდეს, ან არ გადიაღოს რამე. ასეთ დროს მაყურებლის ინტერესი ძალიან მაღალია და, ცხადია, ჟურნალისტები ვალდებულებიც არიან მიაწოდონ ის ინფორმაცია, რაც ხელმისაწვდომია.

რაც შეეხება სტანდარტს ასეთ დროს. ჩემი აზრით, მთავარია, არ დავაზარალოთ მაყურებელი, რადგან ასეთ დროს რთულია გაერკვე როგორ მიმდინარეობს სპეცოპერაცია, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შევარჩიოთ რეპლიკები, სიტყვები და კადრები. არ უნდა შევუწყოთ ხელი პანიკის დათესვას, თუმცა თუ საფრთხე რეალურია, მისი დამალვაც დაუშვებელი, რადგან ამან შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგი მოიტანოს. გაწერილ და დაწერილ სტანდარტებს რაც შეეხება, მაუწყებლებს, როგორც წესი, საკუთარი ეთიკის კოდექსი აქვთ ან/და გაერთიანებული არიან ორგანიზაციები, რომელიც კოლექტიურ ეთიკის კოდექსს ექვემდებარებიან. ის, რომ ,,საზოგადოებრივ მაუწყებელს“ საკუთარი კოდექსი აქვს, ძალიან კარგია, თუმცა მისი ზედმიწევით შესრულება იშვიათად ხდება და მხოლოდ ერთეული ჟურნალისტები იცავენ. ის, რომ დანარჩენ არხებს არ აქვს მსგავსი კოდექსი, კარგი არ არის, თუმცა ამ არხებზე არიან რეპორტიორები, ვინც თვითრეგულაციით, თვითგანათლებით და თვითგანვითარებით ახერხებენ დაიცვან მაღალი სტანდარტი.

რომ შევაჯამოთ, ,,დაწერილი თუ დაუწერელი“ სტანდარტები საგანგებო სიტუაციებში გაშუქებას უფრო ეფექტურს ვერ გახდის. მთავარია, ჟურნალისტები და რედაქციები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მსგავსი ვითარების გაშუქებას და, რაც მთავარია, დაიცვან უსაფრთხოების ნორმები”!

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, საბედნიეროდ, არც ხშირად ხდება ბუნებრივი კატასტროფები და, ტერორისტული თავდასხმები თუ ღია საომარი დაპირისპირებებიც არ არის ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი, როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც მედიის წარმომადგენლებმა ზედმიწევნითი სიზუსტით იციან და იცავენ კიდეც ყველა სავალდებულო ჟურნალისტურ სტანდარტს, შეიძლება ითქვას, ქართული ტელემედია ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულად გამოიყურება.

მერე რა, თუ ქართულ ტელემედიას მხოლოდ ინსტინქტის, ინტუიციის და საკუთარი თავის იმედად უწევს მოქმედება საგანგებო სიტუაციებში მუშაობის დროს. სამაგიეროდ, აღწევს და აკეთებს მაქსიმუმს. ცდა იმისა, რომ არსებული წესები დაიცვა, თუნდაც წყალდიდობის დროს საწვიმარი და ბოტები უნდა წაიღო, ამინდის პროგნოზი წინასწარ გაიგო და ა.შ. მხოლოდ სახელმძღვანელოებში რჩება და, რეალურად, არც მისი გახსენების, დაცვის და გამოყენების დრო გაქვს. ყველა ეს დეტალი, რომელსაც უფრო რეკომენდაციების სახით ვკითხულობთ ხოლმე სხვადასხვა პროფესიულ წიგნში, ან ვისმენთ ტრენინგებსა თუ სემინარებზე გულანთებული ტრენერებისგან, მხოლოდ თეორიული ცოდნის აუცილებელი ნაკადია. უნდა იცოდე, თორემ 13 ივნისს ყველა თუ არა, რამდენიმე პუნქტი მაინც რომ დაეცვა ქართულ ტელემედიას, არც პროფესიული თავგანწირვის საფუძველზე გადაღებული მასალები არ გვექნებოდა და არც სამოქალაქო აქტივიზმის წყალობით გადარჩენილი თანამოქალაქეები გვეყოლებოდნენ. ამ უკანასკნელს კი, კამერებს ჩაბღაუჭებული რეპორტიორები ცალი ხელით აკეთებდნენ, მეორე ხელში მიკროფონით კი, იმ ნახევარ საქართველოს უყვებოდნენ ამბებს, რომლებიც ტელეეკრანებს მიციცინებულები ახალ ამბებს ელოდებოდნენ.

13 ივნისს, საგანგებო სიტუაციაში აღმოჩენილმა ქართულმა ტელემედიამ და, ზოგადად, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებმა, ისევე როგორც ცალკე აღნიშვნის ღირსია - სოციალური მედია, იმუშავეს არნახული თავგანწირვით და აქ, მოცემულ სიტუაციაში რაიმე პროფესიული სტანდარტების დარღვევასა თუ უგულვებელყოფაზე ლაპარაკიც კი უხერხული უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმ აუცილებლობას, რომ მსგავსი სტანდარტები უნდა იყოს და წესები უნდა დაიცვას მედიის წარმომადგენლებმა, მაგრამ სიტუაციას იმიტომ ქვია საგანგებო, იმიტომ მუშაობს უწყვეტ რეჟიმში რომ მოგიწევს თეორიული ,,ლამაზი“ და ,,გამოუსადეგარი“ რჩევა-რეკომენდაციების პრაქტიკაში იგნორირება თუ გინდა ღირებული ჟურნალისტური პროდუქტი დადო.

შედარებით უფრო თვალშისაცემი და მოუმზადებელი აღმოჩნდა ქართული ტელემედია ანტიტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქების დროს. თუმცა, არა მარტო რეპორტიორები - პრაქტიკულად, ქვეყანა და მისი ძალოვანი უწყების წარმომადგენლებიც კი არაორგანიზებულები იყვნენ, რაც პირველ რიგში აისახა კიდეც მედიის მუშაობაზე. არ არსებული კომუნიკაცია, მოშლილი კოორდინაცია და მედიის იმედად გაშვებული საინფორმაციო ნაკადი, ეს ისეთივე შეუკავებელი ნაკადი იყო, რომ წარმოუდგენელი იყო

ვინმეს დაეშვა სტანდარტით მუშაობა. ამიტომ იყო, რომ პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა როგორც ტერორისტების ადგილსამყოფელი, ისე სპეციალური რაზმის გადაადგილებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ევაკუაციის დეტალები. რა თქმა უნდა, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი ძალიან მაღალია, როცა არავინ მიგითითებს და გეუბნება, რომ არღვევ საზღვარს, გადადიხარ კანონით აკრძალულ ტერიტორიაზე, საფრთხეს უქმნი არა მარტო საკუთარ თავს, არამედ იმ ადამიანებს, ვინც შენს ირგვლივაა, ცხადია, აგრძელებ შენს საქმიანობას ყველა წესის დარღვევით.

ასე მოხდა 22 ნოემბრის სპეცოპერაციის დროსაც, ვიდრე კონკრეტულმა პიროვნებებმა და, აქაც სოციალურმა მედიამ აიღო ამ შენიშვნის სიმძიმე საკუთარ თავზე, არ დასვა საკითხი კატეგორიულ ტონში - შეეწყიტა ტელემედიას პირდაპირ რეჟიმში ისეთი დეტალების გადაცემა, რომელიც ტერორისტებისთვის იქნებოდა ხელშემწყობი და წინასწარი მომზადების, ან თავდასხმის შანსს გაუზრდიდა მათ. რეკომენდაციაც იქვე მოყვა შენიშვნას - გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივი ინტერესი იყო ძალიან მაღალი, გაეშვათ კადრები, მაგრამ უკვე რამდენიმეწუთინი დაგვიანებით, რადგან არ ჰქონოდათ საშუალება ტერორისტებს თვალი ედევნებინათ სპეცსამსახურების მუშაობისთვის.

ცხადია, ამ წესის დარღვევას იმ მოცემულ მომენტში რაიმე საბედისწერო ნაბიჯი არ მოჰყოლია, მაგრამ რისკი არსებობდა სერიოზული, რაც ყოველგვარი მითითებისა და შენიშვნების გარეშეც, პირველი სწორედ ადგილზე მომუშავე ტელემედიამ იგრძნო. როცა ამ შეცდომებს განიხილავენ რეპორტიორები, რა თქმა უნდა, ითავისებენ, მაგრამ იხსენებენ იმ მორალურ სტანდარტსაც, როცა პირველებმა იციან ხოლმე დაღუპულის, ან მოკლულის ვინაობა და ეთერში, მიუხედავად იმისა რომ ყველა მათგანისთვის ექსკლუზიურ გადაცემას ლამის საკრალური დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, უბრალოდ, ჩუმდებიან. არ ამბობენ ოფიციალური დადასტურების გარეშე, რადგან ყოველთვის ახსოვთ, რომ ეკრანს მიღმა იმ გარდაცვლილის ახლობლები შეიძლება ისხდნენ და შენ გააგებინო მათ რომ ოჯახის წევრი აღარ ყავთ.

ამიტომ როგორც ჩემი კოლეგები, ვინც იღებდა მონაწილეობას ამ ნაშრომის მომზადებაში, მეც ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტი პროფესიული გადამზადება, წრთვნა, საგანგებო სიტუაციების სიღრმისეული გააზრება ნამდვილად აუცილებელია, თუმცა არ არსებობს მაინც მზა რეცეპტი, ან სულაც სტანდარტების სახელმძღვანელო, რომელსაც დაიზეპირებდა მედიის წარმომადგენელი და დაიცავდა მთელი მუშაობის მანძილზე.

მეც და ჩემი კოლეგებიც ვთანხმდებით, რომ ყველა ჟურნალისტს თავისი სტანდარტი აქვს, რაც, თავისთავად, გამოცდილებასთან ერთად მოდის. ცალსახა დასკვნის გაკეთებაც, ალბათ გაჭირდება, ისევ ინდივიდუალური მიდგომებიდან გამომდინარე. მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე შეიძლება შევჯერდეთ:

1. - ხშირად თეორია პრაქტიკაში არ და ვერ იმუშავებს, რის გამოც მედიის წარმომადგენლებს მოგვიწევს უარის თქმა რეკომენდაციებსა და წეს-რჩევებზე. (ამის ნათელი მაგალითი უკვე განვიხილეთ 13 ივნისის წყალდიდობის შემთხვევაში)

2. - ხშირად პრაქტიკაში აუცილებელია თეორიის გამოყენება, რის გამოც მედიის წარმომადგენლებს მოგვიწევს გათვალისწინება რეკომენდაციებისა და წეს-რჩევების. (ამის მაგალითი იყო 22 ნოემბრის ანტიტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქების დროს დაშვებული შეცდომები)
3. - აუცილებელია დამსაქმებლებმა იზრუნონ იმ მიმართულების რეპორტიორების ინტენსიურ გადამზადებაზე, განათლების მიცემასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რომლებსაც საგანგებო სიტუაციებში უწევთ პროფესიული მოვალეობის შესრულება, რათა მინიმუმამდე იყოს შემცირებული შეცდომები თუ სასიცოცხლო რისკები.

და ყველაზე მთავარი - ლამის 24-საათიანი მუშაობის პირობებში, ამ ნაშრომის მომზადება მართლა საგანგებო ვითარებაში მომიწია, თან უმოკლეს ვადაში. უფრო მეტიც - სახლშიც ვერ ვწერდი, (პრაქტიკულად, არც ვიყავი) ლეპტოპით ხელში ტელევიზიიდან - გადაკეტილ რუსთაველზე მისვლამდე და პირიქით, გზაში ვწერდი დღის და ღამის შედარებით თავისუფალ მონაკვეთში. კოლეგებსაც ჩართვიდან ჩართვამდე ვხვდებოდი და ინტერვიუებსაც ამ ფორმით ვაგროვებდი. სიმართლე გითხრათ, საგანგებო სიტუაციაში მომზადებული ნაშრომია, სადაც სტანდარტის დაცვა არც მიცდია, რადგან არც არაფერი დამირღვევია. უბრალოდ, ძალიან უჩვეულო და არასტანდარტული გამომივიდა ყველაფერი.

გამოყენებული ლიტერატურა -

- **BBC**-ს სარედაქციო სახელმძღვანელო წესები
- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების კომიტეტი, **2005.**
- **Reuters,** სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის
- **Terratoolkit –** საზოგადოება რადიკალიზმის წინააღმდეგ, სახელმძღვანელო წესები ჟურნალისტებისთვის
- **RTDNA Guidelines: Hurricanes and Other Natural Disasters**
- **UNECO: SAFETY GUIDE FOR JOURNALISTS**
- **BBC Editorial Guideline War, Terror and Emergencies**
- **PRINCIPLES OF DISASTER REPORTING: GUIDELINES**
- **Dart Center, Reporting Natural Disasters**
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
- **UNDP** -საქართველო
- **MDF -** მედიის განვითარების ფონდი
- **www.mediachecker.ge**
- **Matsne.gov.ge**
- **112gov.ge**